ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 22 სექტემბერი, 2022 №187 (8965) ფასი: 80 თეთრი

ლევან მურუსიძე: „ვერავინ დამაბრალებს მოსამართლესთან ძველბიჭურად, ქურდულად მოქცევას ან საქმის „გარჩევას“

გვ.5

ბესარიონ ალავიძე: „მურუსიძეს ბევრი ინფორმაცია ჰქონია ჩემზე, საიდან აქვს ეს ინფორმაცია“

გვ.3

„პუტინმა ალიარა უკრაინასთან ომში წარუმატებლობა“

ვალერი ჩეჩელაშვილი: „ჩვენ მიმართ რუსეთის მხრიდან არანაირ სამხედრო საფრთხეს არ ველოდები, რუსეთს ჩვენთვის არ სცხელა“

გვ.2

„6 ათასზე მეტმა რუსეთის მოქალაქემ მიიღო საქართველოს მოქალაქეობა“

გვ.3

მამუკა გვაძაბია: „ოკუპირებული აფხაზეთის საზოგადოებრივი საბჭო ჩვენთან პირისპირ დიალოგისთვის მზადაა“

გვ.4

რა ძვრები მიმდინარეობს სამხრეთ კავკასიაში?

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ინიციატივით აზერბაიჯანისა და სომხეთის დაზავება ხდება

მურმან დუმბაძე: „ლელო“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“ ერთმანეთისგან არ განსხვავდება“

გვ.3

გვ.2

ირაკლი ღარიბაშვილი გაეროს 77-ე სესიის გენერალურ დებატებზე აშშ-ის პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლას დაესწრო

გრიგოლ ლილუაშვილი: „სპეცოპერაცია იყო ჩინებულად, მაღალპროფესიონალურ დონეზე ჩატარებული“

გვ.5

ადვოკატი: „გრიგოლ ნარსიას წინააღმდეგობა არ გაუწევია, დაკავებისას დაზიანებები მიიღო“

გვ.5

ბანკის ძარცვის საქმე თავდაყირა დგება

ვინ არის 50 წლის ქალი, რომელსაც პოლიცია ეძებს

გვ.2

2 ამერიკელი პროფესორი: „რისთვისაც ნიკა გვარამია დაიჭირეს, მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა“

4 გაძვირდება თუ არა საქართველოში გაზი

7 ქვარაცხელიას მსურველმა გუნდებმა მცდარი გადაწყვეტილება მიიღეს

5 მუხიანში, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში ორი ახალგაზრდა გარდაცვლილი იპოვეს

1993230720223

„პუტინმა აღიარა უკრაინასთან ომში წარუმატებლობა“

ვალერი ჩეჩელაშვილი: „ჩვენ მიმართ რუსეთის მხრიდან არანაირ სამხედრო საფრთხეს არ ველოდები, რუსეთს ჩვენთვის არ სცხელა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დიპლომატი ვალერი ჩეჩელაშვილი პასუხობს.

– ბატონო ვალერი, პუტინმა რუსეთში ნაწილობრივ მობილიზაცია გამოაცხადა. საით მიგვანიშნებს პუტინის ეს გადაწყვეტილება?

– პუტინის გადაწყვეტილება ე. წ. ნაწილობრივი მობილიზაციის თაობაზე, ნიშნავს პირველ რიგში ორ რამეს: პირველი ის, რომ მან აღიარა, ეს არ არის სპეციალური სამხედრო ოპერაცია, არამედ ეს არის სრულფასოვანი ომი და მეორე, მიხვდა, რომ არსებული რესურსებით, რასაც ფიქრობდა, რომ გაუმკლავდებოდა, ამას ვერ ახერხებს. სასწრაფოდ რამე თუ არ მოიმოქმედა, შესაძლოა მთლიანად ჩამოეშალოს მთელი ფრონტი უკრაინაში. ამიტომაც გამოაცხადა ეს ე. წ. ნაწილობრივი მობილიზაცია, რომელიც, პრინციპში, თავისი არსით, ძალიან ჰგავს საყოველთაო მობილიზაციას.

– ეს შთაბეჭდილება დაგრჩათ?

– თუნდაც ის მიუთითებს ამაზე, რომ მოსკოვის და სხვა ქალაქების ქუჩებში უკვე პირდაპირ ურიგებენ უწყისებს ახალგაზრდებს. ამას უკვე მოყვა სერიოზული წინააღმდეგობა. ძალას იკრეფს მობილიზაციის საწინააღმდეგო აქციები. ასევე ურჩევენ ერთმანეთს, თუ როგორ დატოვონ რუსეთი, როგორ მიიყენონ ესა თუ ის ტრავმა, რათა თავი აარიდონ გაწვევას. ძირითადად ეს არის შედეგი იმისა, რომ პუტინმა აღიარა უკრაინასთან დაპირისპირების წარუმატებლობა.

– ექსპერტთა ნაწილისგან მოვისმინე შეფასებები, რომ ამ გადაწყვეტილებით პუტინი ვაბანკზე მიდისო.

– შეიძლება ასეც ითქვას. მე ვფიქრობ, რომ ის ცდილობს ფრონტის გამაგრებას საიმისოდ, რომ მიიღოს უკეთესი მდგომარეობა სამომავლო მოლაპარაკებების წინ. იმიტომ, რომ ადრე თუ გვიან, ამ ვითარების დარეგულირებაზე მოლაპარაკებები აუცილებლად დაიწყება. ეს მობილიზაციაც, როგორ არის იცით, ეს ხომ არ არის ახალგაზრდების გაწვევა ჯარში. ამას სჭირდება მომზადება, სჭირდება მოტივაცია, სჭირდება შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფა და ამ სამივე კომპონენტის კონტექსტში, რუსეთს აქვს სერიოზული პრობლემები, განსაკუთრებით, მოტივაციის თვალსაზრისით.

– მოწინააღმდეგეც ბევრი გამოუჩნდა პუტინს შიგნით.

– დიახ, მოწინააღმდეგეც გამოჩნდა. რაღაც პატარა ომი, რომელსაც პუტინი გარეთ აწარმოებს და რომელიც არ ეხება მოსახლეობას, ამას, კი ბატონო, მხარს უჭერენ, მაგრამ, როცა ეს ომი უკაკუნებთ კარზე და მასობრივად უნდა მოხდეს შვილების, მამების, ძმების და ასე შემდეგ გაწვევა ჯარში, ეს მაინცდამაინც არ სიამოვნებთ. ამასთანავე არ არის მოტივაცია. უკრაინელებისგან განსხვავებით, რომლებიც იცავენ საკუთარ თავისუფლებას, საკუთარ ოჯახებს, სახლებს და აქვთ, შესაბამისად, ძალიან მაღალი მოტივაცია. რუსებს ეს მოტივაცია არა აქვთ. უნდა წავიდნენ სხვა ქვეყანაში და იომონ, წარმოდგენაც არა აქვთ რისთვის. თვითონ ამ მობილიზაციის პროცესშიც, სერიოზულ პრობლემებს შეეჯახება პუტინი.

– რატომ გაუსვა ხაზი ნაწილობრივ მობილიზაციას, როცა ბევრმა ეს სრულ მობილიზაციად აღიქვა. არც უნდა, რომ ეს აღიაროს?

– ის ჩიხში მოხვდა. ერთი მხრივ, რესურსები აღარ აქვს არანაირი, ამიტომ რაღაც უნდა მოემოქმედებინა. რომ გამოეცხადებინა ტოტალური მობილიზაცია, ეს იქნებოდა საკუთარი მარცხის აღიარება. ამიტომაც მოიფიქრა ეს ნაწილობრივი მობილიზაცია. მის ბრძანებულებას თუ წავიკითხავთ, ფაქტიურად ეს არის სრულფასოვანი მობილიზაცია. მხოლოდ ეს სიტყვაა ჩამატებული – ნაწილობრივი. თუ ნაწილობრივია, შეზღუდული უნდა იყოს რაღაც ნიშნით, ასე არ არის. ასე დაარქვა, თორემ თვითონ ბრძანებულების ტექსტში არ ჩანს, რომ ეს არის ნაწილობრივი. 18-დან 35 წლამდე, ესეც მინიმუმ, შესაძლოა, ყველა გაწვეული იყოს და რა ნაწილობრივ მობილიზაციაზე ვსაუბრობთ?! ასევე, ეს ყველაფერი იქნება დიდი კორუფციის საფუძველი სამხედრო კომისარიატებში. დაიწყება ქრთამების მიცემა და ა.შ.

– უკრაინა დაწინაურდა, შეტევაზე გადადიან. პროცესების როგორ განვითარებას ელით?

– აქ რამდენიმე კომპონენტია, ძალიან მნიშვნელოვანი იყო უკრაინისთვის ეს გამარჯვება ხარკოვის ოლქში. უკრაინელებმა დაიჯერეს საკუთარი ძალების, რაც მოტივაციას ერთი ათად ზრდის. მეორეც, დასავლეთში ირწმუნეს, რომ უკრაინას ძალუძს დაამარცხოს რუსეთი. შესაბამისად, ეს დამატებით მოტივაციას შესძენს დასავლეთის ქვეყნებს, კონკრეტულად რამშტეინის ჯგუფს, რომ უფრო ახალი, უფრო ტექნოლოგიური და უფრო მნიშვნელოვანი იარაღი მიაწოდონ უკრაინას. მესამე, როგორც მინიმუმ, ხარკოვის ოლქზე პუტინი საერთოდ ხმასაც ვერ იღებს. იმიტომ, რომ ხარკოვის ოლქში ვერანაირად ვერ მოუხერხდება მას ამ ყალბი და ფსევდო ე. წ. რეფერენდუმების მოწყობა. ახლა ყურადღებას ამახვილებს ოთხ ოლქზე, ეს არის დონეცკი, ლუგანსკი, ხერსონი და ზაპოროჟიე, მაგრამ არც ერთი ეს ოლქი მას მთლიანად დაპყრობილი არა აქვს. ამიტომ წმინდა ორგანიზაციული თვალსაზრისითაც, ძალიან რთული იქნება მისთვის ამ რეფერენდუმების ორგანიზება. მით უმეტეს, საომარი ვითარების პირობებში.

– რამდენად სახიფათოა ჩვენთვის შექმნილი ვითარება? მოიცლის რუსეთი ჩვენთვის? ან მობილიზაციის გამოცხადების შემთხვევაში კიდევ უფრო მეტი რუსი ხომ არ შემოვა ქვეყანაში?

– ჩვენთან მიმართებაში რუსეთის მხრიდან არანაირ სამხედრო საფრთხეს არ ველოდები. ჰიბრიდულ ომში კი ისედაც ვართ. ეს მცოცავი ოკუპაცია არავის არ შეუწყვეტია, ხოლო ცხელი საომარი მოქმედებების გადმოტანა საქართველოში, დღესდღეობით არანაირ რეალობას არ შეესაბამება. სხვათა შორის, არც სხვა მიმართულებით. დღეს რუსეთს ამის რესურსები არ გააჩნია. დღეს მისი მთავარი მიზანი არის, რომ მოახდინოს როგორმე ფრონტის ხაზის სტაბილიზაცია. მხოლოდ ამის შემდეგ იფიქროს პოზიციების გამაგრებასა და უკვე დაკავებული ტერიტორიების შენარჩუნებაზე. ჯერჯერობით სხვა მიმართულებებისთვის რუსეთი ვერ იცლის და უახლოეს მომავალში ვერც მოიცლის.

– სომხეთ-აზერბაიჯანის საკითხმაც დაგვანახა, რომ რუსეთს არ სცალია სომხეთისთვის.

– დიახ, სავსებით მართებული შეფასებაა. ესეც არის დადასტურება იმისა, რომ სხვა მიმართულებებისთვის რუსეთს, უბრალოდ, არ სცხელა დღეს.

თაკო ჩარკვიანი: „უჰ, ისეთი ამბავია რუსეთში, ვინ სად დაიმალოს, არ იციან“

დამოუკიდებელი დეპუტატი, პარტია „კანონი და სამართლის“ ლიდერი თაკო ჩარკვიანი პუტინის მიერ ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადებას ეხმიანება და სოციალურ ქსელში წერს:

– დიახ, უჰ, ისეთი ამბავია რუსეთში, ვინ სად დაიმალოს, არ იციან. გარბიან, თავს იზიანებენ. ზოგი საკუთარ თავს თავად იზიანებს იარაღით, გარბიან საკუთარი ქვეყნიდან, ამ მსოფლიოში აღიარებულ ტერორისტს გაურბიან, აღარ უნდათ ომში (აი ჩვენი პოლიტიკანი ბურჯანაძე და გამყიდველნი ძმანნი მისნი „პრიმაკოვის ფონდი“ და „ალტინფოელები“ რომ დიდ პოლიტიკოსს უწოდებენ, იმ მსოფლიოში ტერორისტად აღიარებული „პოლიტიკოსისგან“ გარბიან). უკრაინასთან და საერთოდ მთელს დემოკრატიულ სამყაროსთან წაგებულ ომში მობილიზაციას და უეჭველ – გარანტირებულ სიკვდილს სთავაზობს პუტინი რუსეთში ხალხს! ფსკერზეა და დარჩენილების ჩათრევას ცდილობს! იქნებ ახლა მაინც გააპროტესტონ, 142 მილიონი ცხოვრობს და იქნებ 60 მაინც გამოვიდეს გარეთ, სხვისი შვილების ხოცვა-ჟლეტვის და გაუპატიურების გამო რომ არ გამოდიან, ვხედავთ და იქნებ საკუთარი შვილების დაცვის გამო გამოვიდნენ მილიონები რუსეთში, თავზე რომ ჩამოალეწა და გაუძარცვა ქვეყანა პუტინმა თავისი ბანდით და ახლა კიდევ ომში გაწვევას და სიკვდილს რომ სთავაზობს. მოკლედ, ასეა – „თავისუფლება ლომთა ხვედრია“. ძლიერების – მებრძოლების, ვაჟკაცების გვამებზე გადამბიჯებლების და სამშობლოზე ომის გადამბრალებლების არა.

ამერიკელი პროფესორი: „რისთვისაც ნიკა გვარამია დაიჭირეს, მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა, ამისთვის არავის ასამართლებენ“



„მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას, საქმეს სამხრეთ კაროლინას ჟურნალისტიკის სკოლის პროფესორი, 4 „ემის“ მფლობელი, მედია პროფესიონალი რენდი კოვინგტონი ეხმაურება.

ის ამ ქეისით თავად დაინტერესდა. საუბარია გვარამიას საქმეში პორშეს მარკის ავტომობილის ეპიზოდსა და პროკურატურის მტკიცებაზე, რომ დანაშაულია, როცა ნიკა გვარამია და მისი ოჯახი სარგებლობდნენ 76 ათასი ევროს ღირებულების ავტომანქანით, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ სარეკლამო დროის გამოყენების სანაცვლოდ, გაფორმებული იყო შპს „პროესკო მედიას“ სახელზე.

– ამერიკაში 27 წელი ვიმუშავე სხვადასხვა ტელევიზიებში, სხვადასხვა ქალაქებში. სადაც კი მიმუშავია, ყველგან კომპანიის მენეჯმენტის წარმომადგენლები მუდმივად მიმართავდნენ და იყენებდნენ ამ პრაქტიკას. რა თქმა უნდა, კომპანიის დირექტორს შეეძლო ამის გამოყენება და ასეთი მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღება. ეს შეერთებულ შტატებში დანაშაული არ არის, ეს აქ ჩვეულებრივი პრაქტიკაა. ჩემი აზრით, ეს არის განაჩენი იმისთვის, რაც მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია მიღებული და რისთვისაც არავის იჭერენ, – თქვა მან.

ირაკლი ღარიბაშვილი გაეროს 77-ე სესიის გენერალურ დებატებზე აშშ-ის პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლას დაესწრო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გაეროს 77-ე სესიის გენერალურ დებატებზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის სიტყვით გამოსვლას დაესწრო. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

პრესსამსახურის ცნობით, მთავრობის მეთაური ჯოზეფ ბაიდენის სიტყვით გამოსვლაზე დელეგაციასთან ერთად იმყოფებოდა.

გაეროს გენერალური ასამბლეის 77-ე სესიის გენერალური დებატები 21 სექტემბერს გაიხსნა.

საქართველოს მთავრობის მეთაური გენერალური ასამბლეის 77-ე სესიის მონაწილეებს სიტყვით 22 სექტემბერს მიმართავს.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობს, საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე არიან.

ვინ არის 50 წლის ქალი, რომელსაც პოლიცია ეძებს

ბანკის ძარცვის საქმე თავდაყირა დგება – პოლიცია 50 წლის ქალს ეძებს, რომელიც შესაძლოა, გრიგოლ ნარსიას თანამზრახველია. ქალის ადგილსამყოფელის დასადგენად სამძებრო ოპერაცია, გავრცელებული ინფორმაციით, ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს.

„ტვ პირველისთვის“ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ქალმა, სახელად ეკამ, სოფელი ბანოჯა მას შემდეგ დატოვა, რაც შეიარაღებული თავდამსხმელი პოლიციამ აიყვანა.

ადგილობრივები აცხადებენ, რომ ეკა გრიგოლ ნარსიასთან ერთად ცხოვრობდა, სახლი კი, სპეცოპერაციის დასრულებიდან მალევე, ჩემოდნებით დატოვა.

თავად ბრალდებული ნარსია კი წინასწარი დაკავების იზოლატორშია, გრიგოლ ნარსია ირწმუნება, რომ სასტიკად არის ნაცემი და პოლიციას ძალადობაში ადანაშაულებს.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„6 ათასზე მეტმა რუსეთის მოქალაქემ მიიღო საქართველოს მოქალაქეობა“

მამუკა გვაძაბია: „ოკუპირებული აფხაზეთის საზოგადოებრივი საბჭო ჩვენთან პირისპირ დიალოგისთვის მზადაა“



ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი მამუკა გვაძაბია პასუხობს.

– ბატონო მამუკა, ბოლო პერიოდში აქტიურად ვისმენთ განცხადებებს და მოწოდებებს, რომ დროა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დავიწყოთ მოლაპარაკებები. არა მუქარის და იარაღის ენით, არამედ დიპლომატიური ენით. რა ინფორმაციებს ფლობთ, აფხაზეთის მხარე არის ამისთვის მზად? როგორია განწყობა?

– დღეს კრიზისული სიტუაციაა ყველა მიმართულებით. სიტუაცია საფრთხილოა. დღეს პუტინი არის კუთხეში მომწყვდეული ვირთხა. მან თავისი ვერც პროგრამა მინიმუმი და ვერც მაქსიმუმი ვერ შეასრულა უკრაინასთან მიმართებაში. მას სულ სხვა მოლოდინები ჰქონდა. პუტინი თავის მიზნებს ვერ მიაღწევს. დასავლეთი უფრო გააქტიურდება, უფრო კონსოლიდირებული იქნება და ერთი წამით არ მეპარება ეჭვი, რომ რუსეთი დამარცხდება. ეს გამოცხადებული მობილიზაციაც ამის მანიშნებელია. ამ ყველაფრის ფონზე კი ჩვენი მთავარი საზრუნავი და საფიქრალი არის საქართველო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები.

– ამ კუთხით რა ხდება?

– მე ცრუ მოლოდინების შექმნას არ ვაპირებ, მაგრამ სერიოზული რაღაცები ხდება ამ მიმართულებით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მე აფხაზეთს ვგულისხმობ, სამაჩაბლოსკენ არ მაქვს წვდომა. აფხაზეთიდან მაქვს ინფორმაციები და დღევანდელი დეფაქტო აფხაზეთის ტერიტორიაზე, პოლიტიკური ისტებლიშმენტის განწყობები ნელა, კუს ნაბიჯებით, მაგრამ მაინც იცვლება. საზოგადოებრივი საბჭოა შექმნილი პრეზიდენტთან და იქ გამოითქვა აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოსთან დიალოგია საჭირო. ამ ეტაპზე თავს შევიკავებ დავასახელო მისი ვინაობა, ვინც ამ ინიციატივით გამოვიდა, თუმცა ამის დროც მოვა. მათი სურვილია, საქართველოსთან პირდაპირი დიალოგი დაიწყოს. დღეს ეს ჯგუფი უმცირესობაშია და ამიტომ ამ საკითხს დიდი სიფრთხილით ვეკიდები.

– როდის დაიწყო ამაზე საუბარი?

– ამაზე საუბრები მიდის დიდი ხანია, თუმცა სიტუაცია გამწვავდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა მოითხოვა ბიჭვინთის ძალიან დიდი ზონის თავის სარგებლობაში გადაცემა. ამან ძალიან გააღიზიანა როგორც ერი, ისე ბერი. ამ თემაზე იყო პროტესტიც, გამოსვლებიც და სწორედ ეს საკითხი გახდა მთავარი კატალიზატორი იმისა, რომ აფხაზეთის დეფაქტო ტერიტორიაზე, პოლიტიკური ისტებლიშმენტის განწყობა შეცვლილიყო.

– რას ამბობს ოფიციალური თბილისი? არის მზაობა ამისათვის?

– თბილისში არანაირი მზაობა არ არის. უფრო მეტსაც გეტყვით, თითქოს რაღაცას ფაფხურობდა ივანიშვილი. ჯერ გალის რაიონში მოსახლეობის უსაფრთხო დაბრუნებაზე ჰქონდა მცდელობა. ესეც რაღაცის სანაცვლოდ.

– რის სანაცვლოდ?

– იმის სანაცვლოდ, რომ საქართველოს ოფიციალურად უნდა ეთქვა ნატოზე უარი. ასევე, ევროპაში ინტეგრაციაზე, როგორც იანუკოვიჩმა თქვა თავის დროზე. მერე კიდევ იყო მცდელობები. ისიც უნდა ვთქვათ, რომ რუსეთი, როგორც ჩანს, არც ივანიშვილს ენდობა ამ თვალსაზრისით. თუმცა რუსეთის საყრდენი საქართველოში, მაინც ივანიშვილის რეჟიმია. ამას თამამად გეტყვით. თუმცა ოკუპირებული ტერიტორიების მიმართულებაზე ბოლომდე მაინც არავის ენდობა პუტინი. ამ სიტუაციაში, როგორც ჩვენი ქვეყნის წინა ხელისუფლებები, ეს ხელისუფლებაც არის არაადეკვატური. არანაირი მიმართულებით არ მუშაობენ.

– ანუ ამ ხელისუფლების პირობებში არანაირი მზაობა არ არის საიმისოდ, რომ თუნდაც მოლაპარაკებების დონეზე აღდგეს ურთიერთობა?

– მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლება ამ საკითხით დაინტერესებული არ არის, იმიტომ რომ, მას არანაირი შედეგის იმედი არ აქვს. არა და მე არ ვმალავ, მაქვს კონტაქტები აფხაზურ მხარესთან და ისინი მზად არიან ასეთი მოლაპარაკებებისთვის. ჩვენი ხელისუფლება ამ საკითხით დაინტერესებული არ არის. ისინი მხოლოდ ფულის კეთებაში არიან მაგრები, მხოლოდ ეს აინტერესებთ. არც ოპოზიციას ადარდებს ეს საკითხი და არც პოზიციას.

რა ხდება რუსეთის მოქალაქეების შემოდინებასთან დაკავშირებით და საკანონმდებლო ინიციატივაზე ყურიც კი არავინ შეიბერტყა. არ უნდათ და იცით რატომ არ უნდათ? იმიტომ, რომ ბიზნესინტერესები აქვთ.

– რუსეთის მოქალაქეების შემოდინება ახსენეთ და ახლა მეტად გამწვავდება ეს საკითხი, რადგან პუტინმა მობილიზაცია გამოაცხადა, გაცილებით მეტი მოაწყდება საქართველოს საზღვარსო. კობახიძე კი აცხადებს, რომ არანაირი სავიზო რეჟიმი რუსეთის მოქალაქეებისთვის არ განიხილებაო. რამდენად სახიფათო სიტუაცია შეიძლება შეიქმნას?

– რა თქმა უნდა, სახიფათო სიტუაციაა. უკვე 6 ათასზე მეტმა რუსეთის მოქალაქემ მიიღო საქართველოს მოქალაქეობა. უკიდურესად სახიფათო ვითარებაა, ყალიბდება, არც მეტი და არც ნაკლები, საქართველოში რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფი მეხუთე კოლონა.

„ლელო“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“ ერთმანეთისგან არ განსხვავდება“

მურმან დუმბაძე: „პარტია, რომელიც ორ პროცენტს ვერ აღწევს, რა საჭიროა, უნდა გაქრეს პოლიტიკური ველიდან“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, პროდასავლური ძალების გაერთიანებაზეა საუბარი. რა იცით ამ გაერთიანების შესახებ?

– პოლიტიკურ ძალებს შორის ასეთი ერთობის მიღწევა დიდი ხნის წინ არის დაწყებული. ეს არ არის ახალი იდეა. ჯერ კიდევ 2020 წლის არჩევნებზე შედგა ასეთი გაერთიანება. პოლიტიკურ ძალებს შორის დიდი პოლიტიკური გაერთიანების შექმნა დღესაც დღის წესრიგში დგას.

მე მივესალმები ამ იდეას. ეს არის ერთადერთი რაციონალური გადაწყვეტილება, რაც შეიძლება დღეს ოპოზიციურ ფლანგზე მოხდეს. 30 წლის მანძილზე კარგად გამოჩნდა, რომ არსებული ხელისუფლების ცვლილება ვერ ხდება ერთი პარტიის, ერთი ძალის მიერ. საჭირო არის დიდი კოალიციური ერთობით გამოსვლა და ხელისუფლების დამარცხება.

ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიამ შექმნა ერთობა, რომელსაც „მრგვალი მაგიდა“ უწოდა და ასე დაამარცხა კომუნისტური პარტია. იქიდან მოყოლებული ასეა. ეს უკვე ლამის ტრადიციად ჩამოყალიბდა საქართველოში. ასე დამარცხდა თავის დროზე „მოქალაქეთა კავშირი“, რომელიც პოლიტიკური ველიდან გაქრა. ასე დავამარცხეთ 2012 წელს მიხეილ სააკაშვილი. მაშინ ძალიან დიდი, პრაქტიკულად ყველა ოპოზიციური პარტია გაერთიანდით და დავამარცხეთ ნაციონალური მოძრაობა. დღეს სხვა გზა არ არსებობს, თუ არა დიდი ერთობით გამოსვლა და „ქართული ოცნების“ ამ გზით დამარცხება. მე მივესალმები, პოლიტიკურმა პარტიებმა თუ ეს გააცნობიერეს და ამ დასკვნამდე მივიდნენ. ამ ინიციატივაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, პირიქით, სწორედ ამაშია გამოსავალი.

– რამდენად არის ამის მიღწევა შესაძლებელი? დათმობენ ლიდერები ამბიციებს?

– ეს უკვე არის შინაარსობრივი განხილვა. ტექნიკურად გასაგებია და ცხადია, რომ გამოსავალი მხოლოდ ასეთ დიდ კოალიციურ გაერთიანებაშია, მაგრამ სწორს ბრძანებთ, დათმობენ კი ეს ერთპროცენტიანი თუნდაც ექვსპროცენტიანი პარტიები თავიანთ ამბიციებს – ვერ გეტყვით. მე ყოველთვის დამითმია და მზად ვარ, დღესაც დავთმო. თუ მიზანი უფრო დიდი არ არის, თუ მიზანი ქვეყნის სწორ რელსებზე დაყენება არ არის, თუ მიზანი გლობალური რეფორმები და აღმშენებლობა არ არის, მაშინ არ დათმობენ. ჩამოეკიდებიან თავიანთ ერთპროცენტიან პარტიებს და გვექნება ის რეალობა, რა რეალობაც გვაქვს. მითხარით, რა განსხვავებაა „ლელოსა“ და „სტრატეგია აღმაშენებელს“ შორის იდეოლოგიურად, შინაარსობრივად – არაფერი, მაგრამ სახელსა და გვარებში არის განსხვავება, ესაა საქმე.

მე რომ მკითხოთ, 20-30 წლის შემდეგ საქართველოში მხოლოდ ორი თუ სამი პარტია უნდა იყოს. ამას პოლიტიკური ბაზარი დაარეგულირებს. საქართველოსნაირ პატარა ქვეყანას არ სჭირდება არაფერში 200-250 პარტია. თუ პარტია ორნიშნა პროცენტულ მაჩვენებელს ვერ იღებს, ის უნდა გაქრეს პოლიტიკური ველიდან. 3-4 პარტიის გარდა დანარჩენები ბაზარმა უნდა შეჭამოს. პარტია, რომელიც ორ პროცენტს ვერ აღწევს, რა საჭიროა, ვის რაში სჭირდება?!

– ამერიკულ მოდელზე საუბრობთ, სადაც ერთმანეთს მხოლოდ ორი პარტია ენაცვლება?

– დიახ. ამერიკაში უფრო მეტი პარტიაა რეგისტრირებული, მაგრამ „დემოკრატები“ და „რესპუბლიკელები“ ენაცვლებიან ერთმანეთს, ხელისუფლებაში ხან ერთია და ხან – მეორე. ამას უკვე დიდი ტრადიცია აქვს ამერიკაში. ჩემი აზრით, სწორედ ასეთ რეალობას მივიღებთ საქართველოშიც 20-30 წლის შემდეგ. ამით იმას კი არ ვამბობ, რომ მრავალპარტიულობა ცუდია, რომ კონკურენციის წინააღმდეგი ვარ. მე ვსაუბრობ თავად ამომრჩევლის განწყობასა და მის არჩევანზე. ეს ძალიან ელემენტარულია. თუ პარტია 100 ამომრჩევლიდან 30 ხმას მაინც არ მიიღებს, რატომ უნდა იყოს პოლიტიკურ ველზე, გაუგებარია.

მიხეილ სააკაშვილის იდეა იყო, ერთიანი სია შეექმნათ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს და ერთიანი საარჩევნო სიით გამოვსულიყავით, მაგრამ ვინ დაუჯერა. არ ირწმუნეს მისი. იმიტომ მივიღეთ ის შედეგი, რაც მივიღეთ. ამომრჩეველს არ სჯერა ერთპროცენტიანი პარტიების. ის არ ენდობა ასეთ პარტიას. ამიტომ არის საჭირო გამსხვილება. საქართველოს რეალობაში ნაციონალური მოძრაობა არის ერთადერთი ძალა, რომელმაც ხელისუფლების, ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ შეინარჩუნა თავისი ამომრჩეველი და დარჩა პოლიტიკურ არენაზე. სხვა ასეთი ყოფილი სახელისუფლო პარტია, უბრალოდ, არ არსებობს ქართულ სინამდვილეში. ამასაც უნდა გავუწიოთ ანგარიში, რადგან ეს ამომრჩევლის გადაწყვეტილებაა და არა რომელიმე ჩვენგანის.

ბესარიონ ალავიძე: „მურუსიძეს ბევრი ინფორმაცია ჰქონია ჩემზე, საიდან აქვს ეს ინფორმაცია“

უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, ბესარიონ ალავიძე, უმაღლესი საბჭოს წევრის, ლევან მურუსიძის, განცხადებას „მთავარ არხთან“ გამოეხმაურა. მისთვის გაუგებარია, საიდან აქვს ლევან მურუსიძეს პროკურატურისთვის მიცემული მისი ჩვენება.

– მურუსიძეს ბევრი ინფორმაცია ჰქონია ჩემზე, საიდან აქვს ეს ინფორმაცია, რა იცის, უარვყავი თუ არ უარვყავი პროკურატურაში ჩემი ჩვენება. მურუსიძემ მაჩვენა ჩემი ჩვენება? რატომ იკლავენ თავს რუსთავი ორის საქმესთან დაკავშირებით, როცა მე არ მიხსენებია რუსთავი ორის საქმე. მე არ მაქვს სურვილი კონკრეტულ საქმეზე ვისაუბრო და, მით უმეტეს, მურუსიძეს ველაპარაკო რომელიმე საქმესთან დაკავშირებით, ის არ არის საბჭოს წევრი, – თქვა ბესარიონ ალავიძემ.

მიხეილ სააკაშვილი: „დღეს პუტინმა თვითონ დააჩქარა მისი რეჟიმის დასრულება და რუსეთის დაშლა“

საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ვლადიმერ პუტინის გადაწყვეტილებას ეხმაურება:

– პუტინმა თვითონ დააჩქარა მისი რეჟიმის დასრულება და რუსეთის დაშლა. მან პრაქტიკულად აღიარა, რომ აგებს ომს და იყენებს ბოლო არგუმენტს – ბირთვულ იარაღს.

ბირთვული იარაღის ნებისმიერი გამოყენება აუცილებლად პირდაპირ ჩართავს ომში დასავლეთს, ამერიკის მეთაურობით. 35-ით დაბომბვის რამდენიმედღიან კამპანიას შეუძლია რუსეთის არმიის სრული განადგურება.

მობილიზაციაც ის წითელი ხაზია რუსეთის შიგნით, რომლის გადალახვაც ბოლომდე ძირს უთხრის რეჟიმისადმი მხარდაჭერას. წლის ბოლომდე პუტინი აღარ იქნება ხელისუფლებაში და რუსეთი იქნება სრულ ქაოსში.

პუტინმა ისევ ხაფანგში შეიყვანა საკუთარი თავი, რომლიდანაც კარგი გამოსავალი არ არსებობს. ბირთვული იარაღის გამოყენებას ასეთ დასუსტებულ პუტინს არავინ შეარჩენს თუნდაც იმის გამო, რომ ჩინეთს არ გაუხსნას ხელები ტაივანთან მიმართებაში.

მშენებლობაზე დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 16.4%-ით გაიზარდა

მშენებლობის ღირებულების ინდექსი, წინა კვარტალთან შედარებით, 7.2 პროცენტით გაიზარდა. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს. მათივე ცნობით, აღნიშნული ცვლილება, ძირითადად, განპირობებული იყო მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 16.4 პროცენტიანი ზრდით, რამაც 4.36 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში.

ამასთან, „საქსტატის“ ცნობით, წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, მშენებლობის ღირებულების ინდექსი გაიზარდა 11.7 პროცენტით. ინდექსის ზრდა, ძირითადად, გამოწვეული იყო სამშენებლო მასალებზე ფასების 11.8 პროცენტიანი ზრდით, რაც 6.74 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე.

რა ძვრები მიმდინარეობს სამხრეთ კავკასიაში?

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ინიციატივით აზერბაიჯანისა და სომხეთის დაზავება ხდება

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს სამეზობლოში, მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური კატაკლიზმების ფონზე, ახალი ძვრები დაიწყო. მიმდინარე პროცესები ასუსტებს აგრესორი რუსეთის პოზიციას სამხრეთ კავკასიაში.

აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე დაახლოებით ცხრა დღის წინ მომხდარი დიდი ესკალაციის შემდეგ, 20 სექტემბერს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენის ინიციატივით, აზერბაიჯანისა და სომხეთის საგარეო მინისტრები – ჯეიხუნ ბაირამოვი და არარატ მირზოიანი პირველად ესაუბრნენ ერთმანეთს. ისინი ამერიკაში ჩავიდნენ გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე დასასწრებად.

ნიუ-იორკში გადაწყდა, რომ სახელმწიფო მდივნის მონდომებით დაპირისპირებული ქვეყნების მინისტრების კიდევ ერთი შეხვედრა სექტემბერში კიდევ გაიმართება.

მანამდე, 17 სექტემბერს, ერევანში იმყოფებოდა აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ნენსი პელოსი. მის ვიზიტს სომხეთში ახლდა ამერიკის მხარდამჭერი აქციები, რომლის მონაწილეებმა მოითხოვეს სომხეთის გამოსვლა „ოდკბ“-დან (კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაცია). ნენსი პელოსის ჩასვლამ გამორჩეულად ერევანში (ის ამ პერიოდში არ ყოფილა ბაქოში, არც რომელიმე სხვა მეზობელ ქვეყანაში) და სომხეთის მიმართ გამოხატულმა სოლიდარობამ აზერბაიჯანი და რეგიონის სხვა სახელმწიფოებიც საგონებელში ჩააგდო.

რა მდგომარეობაშია ჩაყენებული რუსეთი?

პელოსის ვიზიტი, ბლინკენის აქტიურობა და სომხეთში აგორებული კიდევ ერთი პროდასავლური, რუსეთის საწინააღმდეგო ტალღა დიდი დარტყმა უნდა იყოს უკრაინაში შეჭრილი რუსეთისთვის, რომელიც თავს მომრიგებლად თვლის სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტში. ყარაბაღის 2020 წლის ომის ფონზე რუსეთის შუამავლობით დაიდო სამშვიდობო შეთანხმება. მას შემდეგ იქ რუსი სამშვიდობოები ჩადგნენ, თურქეთი კი რუსეთთან ერთად მონიტორინგს ახორციელებს.

აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე ბოლოდრონდელი ესკალაციისას რუსეთმა, ასევე კოლექტიური უშიშროების ორგანიზაცია „ოდკბ“-მ, რომელსაც დახმარება მოსთხოვა სომხეთმა, სრული უსუსურობა გამოიჩინეს. სიტუაციის გამწვავებას მხარეები ერთმანეთს აბრალებენ.

პუტინი უსუსურია, თუმცა სომხეთს არ თმობს. მან 19 სექტემბერს მიმართვა გაუგზავნა რუსეთ-სომხეთის რეგიონული კონფერენციის მონაწილეებს. მიმართვაში პუტინი აღნიშნავს, რომ რუსეთმა და სომხეთმა დააგროვეს სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობის გამოცდილება. კრემლის ხელმძღვანელი ამ თანამშრომლობის გაგრძელების რწმენას გამოთქვამს.

რუსი ექსპერტის, სტანისლავ ტარასოვის აზრით, პელოსის ვიზიტი შემთხვევით არ დაემთხვა ახალ ესკალაციას.

სტანისლავ ტარასოვი:

– პელოსის ვიზიტი შემთხვევით არ დაემთხვა სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე სიტუაციის გამწვავების მომენტს. უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, ამ კონფლიქტის დამთავრებას. ვაშინგტონი ცდილობს ჩამოაშოროს მოსკოვი მოლაპარაკებათა პროცესს ერევანსა და ბაქოს შორის. აშშ ეცდება გაიმყაროს პოზიციები აზერბაიჯან-სომხეთის დიალოგში რუსეთის გვერდის ავლით. თუ ადრე ამერიკელები ერთნაირად იყვნენ დაშორებული ბაქოსა და ერევანს, ახლა აშკარად თამაშობენ სომხეთის მხარეს. ასეთ სიტუაციაში ბაქო მომგებიან მდგომარეობაშია. ის ახალ მოთხოვნებს კი არ აყენებს, არამედ, მოითხოვს ადრე მიღწეული შეთანხმებების შესრულებას.

რუსი პოლიტოლოგი **ევგენი მიხაილოვი** მოელის, რომ სომხეთი „ოდკბ“-დან გამოვა:

– წარმომადგენელთა პალატის ლიდერის, ნენსი პელოსის ვიზიტმა დააადასტურა სომხეთის პროდასავლური კურსი. ეს ყველაფერი ჰგავს ნიადაგის მომზადებას „ოდკბ“-დან გამოსასვლელად.

აზერბაიჯანელი ექსპერტის, აკპერ ჰასანოვის თქმით, სომხეთი ყველა გზით ცდილობს თავიდან აიცილოს ნაკისრი ვალდებულებები. ამ მიზნით, მისი აზრით, ერევანი აწყობს პროვოკაციებს საზღვარზე, მაგიდასთან იწვევს ყარაბაღელ სეპარატისტებს, პროცესისთვის წონის მოსამატებლად კი იწვევს ნენსი პელოსს. ამას, მისი სიტყვებით, პრაქტიკული შედეგი არ მოჰყვება.

სომხეთის მოძრაობა „აზატარგუმ“-ის ლიდერი, რუსეთუმე **მიხეილ ბადალიანი** საუბრობს რუსოფობიურ განწყობებზე სომხეთში:

– სომხეთში ყოველდღიურად იზრდება რუსოფობიური განწყობები. ჩემზე ორ დღეში ორი თავდასხმა მოხდა. რუსეთმა უნდა მიიღოს მძიმე გადაწყვეტილება: ან მთლიანად დაკარგოს სამხრეთი კავკასია, ან უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს კონფლიქტის მოწესრიგებაში.

როგორია ირანის პოზიცია? რა შუაშია ინდოეთი?

აღმოსავლეთმცოდნე კარინე გევორგიანი საუბრობს სხვა მეზობლების პოზიციაზეც.

კარინე გევორგიანი:

– მიმდინარე მოვლენებს ირანი აღიქვამს, როგორც ომს ირანის წინააღმდეგ. ირანელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აქ არ გამოჩნდნენ ამერიკელები. ირანმა შეკრიბა 45

ათასი სამხედრო მოსამსახურე საზღვართან. იმავდროულად 45 ათასი რეზერვისტის მობილიზება მოახდინა ერდოღანმა. ირანი არ დაუშვებს ზანგეზურის დერეფნის შექმნას. ეს იმას ნიშნავს, რომ აზერბაიჯანის არმიის ბლოკპოსტები იდგება სუვერენული სომხეთის ტერიტორიაზე. თეირანისთვის ეს არის თურქეთის ყოფნა და გაძლიერება რეგიონში. ირანს ამ საკითხებში მხარს უჭერს ინდოეთი. ინდოეთს აქვს სომხეთის გავლით კომუნიკაციების გატარების საკუთარი გეგმები.

„ავიარეისებზე ბილეთები აღარ დარჩა“ — საით გავიქცეთ რუსეთიდან ახლავე

საით გავიქცეთ რუსეთიდან ახლავე – ასეთი შინაარსის პოსტი ტელეგრამ არხზე „მედუზა ლივემ“ მას შემდეგ გავრცელდა, რაც ვლადიმერ პუტინმა მობილიზაციის შესახებ განკარგულებას ხელი მოაწერა. პოსტი ორ ვერსიას შეიცავს: სად გავიქცეთ, როდესაც გვაქვს საზღვარგარეთის პასპორტი და როდესაც ის არ გვაქვს.

სად გავიქცეთ თუ საზღვარგარეთის პასპორტი არ გვაქვს (რამდენი ხანი შეგვიძლია იქ გავჩერდეთ):

სომხეთი – (180 დღე); ბელარუსი – (90 დღე); ყირგიზეთი – (30 დღე + ექვსი თვე საცხოვრებლის რეგისტრაციის შემთხვევაში); ყაზახეთი – (30 დღე რეგისტრაციის გარეშე + 60 საცხოვრებლის რეგისტრაციის შემდეგ);

სად გავიქცეთ თუ გვაქვს საზღვარგარეთის პასპორტი, მაგრამ არ გაქვს ვიზა (რამდენი ხანი შეგვიძლია იქ გავჩერდეთ):

საქართველო – (360 დღე, თუმცა რუსებს ხშირად ექმნებათ პრობლემები შესვლაზე); მექსიკა – (180 დღე, საჭიროა ელექტრონული ვიზა); ეგვიპტე – (90 დღე, საჭიროა ელექტრონული ვიზა); ისრაელი, მოლდოვა, აზერბაიჯანი, ტაჯიკეთი, ბრაზილია, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ეკვადორი, ყატარი – 90 დღე ვიზის გარეშე; სამხრეთ კორეა – (90 დღე, საჭიროა ელექტრონული ვიზა); ტაილანდი – 45 დღე

ინდოეთი – (30 დღიდან 5 წლამდე, ელექტრონული ვიზის მიხედვით); ინდონეზია, მალაიზია, მონღოლეთი, ლაოსი, სერბეთი – 30 დღე ვიზის გარეშე; შრი ლანკა – 30 დღე ვიზის გარეშე;

პუტინის მიერ მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ, რუსეთში ავიაბილეთების ფასებმა მოიმატა. როგორც რუსული მედია წერს, მოსკოვიდან სტამბულის, ერევნის, ბაქოს და სხვა მეზობელი ქვეყნების მიმართულებით, სადაც რუსეთის მოქალაქეებს ვიზა არ სჭირდებათ, უახლოესი პერიოდისთვის „ავიარეისებზე ბილეთები აღარ დარჩა“. როგორც მედია წერს, 23-24 სექტემბრამდე ყველა ბილეთი გაყიდულია. მედიის ინფორმაციით, ამ დროისთვის დარჩენილია მხოლოდ რამდენიმე ბილეთი და ისიც ბიზნეს-კლასით მგზავრობისთვის.

რეზერვისტებს, რომლებიც გაწვევას მიიღებენ, ქვეყნიდან გასვლა აეკრძალებათ.

„ფასების ზრდის პიკი უკვე გადავლილია“

– მთელი ევროპა, მთელი თავისი ევროკავშირიან და არაევროკავშირიან ქვეყნებთან ერთად, რომლებიც დაახლოებით 180 მილიონ კუბურ მეტრ რუსულ გაზს ყიდულობდა, რუსეთმა ჩაკეტა. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროპას დღეს რუსეთიდან გაზი აღარ მიეწოდება და რაც მიეწოდება, მხოლოდ გაზსაცავების შესავსებად, – ამის შესახებ ენერგეტიკოსმა გია არაბიძემ გადაცემაში „საქმე“, რუსეთის მხრიდან ევროპისთვის დაწესებულ ენერგობლოკადასა და ამ ყველაფრის საქართველოზე გავლენაზე ისაუბრა.

– კი, ჩინეთმა დაიწყო რუსული გაზის შეძენა, მაგრამ ჩინეთში გაყიდული გაზის ფასი და ევროპაში გაყიდული გაზის ფასი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან, ანუ ფასს ჩინეთი კარნახობს და არა რუსეთი. ევროპას გაუჭირდება, მაგრამ რუსეთს უფრო გაუჭირდება, როდესაც ზამთარი გადაივლის და სიტუაცია დასტაბილურდება, – განაცხადა არაბიძემ.

მისი თქმით, ნებისმიერი შეზღუდვა საბოლოოდ მოსახლეობაზე გადაივლის, იქნება ეს ინფლაციის შედეგები თუ კომუნალური გადასახადების გაძვირება.

– არა მგონია, ევროპაში ფასები ამაზე მაღლა წავიდეს, ვიდრე ახლა არის, მეტი რაღა უნდა დაკეტოს? ფაქტიურად, ის მინიმუმია, რაც შეიძლება, რომ იყოს. ჩემი აზრით, ფასების ზრდის პიკი უკვე გადავლილია. თუ რუსეთი გაზის გაშვებას გადაწყვეტს, მაშინ მას მოუწევს, ფასს გადახედოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთი ვეღარ ითამაშებს იმ თამაშს, რასაც დღეს თამაშობს, – განაცხადა გია არაბიძემ.

რა შემთხვევაში დაედება ყადაღა დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას

პარლამენტმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებს პირველი მოსმენით მხარი 88 ხმით დაუჭირა.

კანონპროექტის თანახმად, დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას ან ქონებას, რომლის მიმართაც ჩადენილია დანაშაული, ყადაღა შეიძლება დაედოს მაშინ, თუ: არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ ქონებას ახალი დანაშაულის ჩასადენად გამოიყენებენ; არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ ქონებას გაანადგურებენ ან დააზიანებენ; არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ ქონებას გადამალავენ, გაასხვისებენ ან დახარჯავენ; ამ ქონებაზე ყადაღის დადება აუცილებელია მისი შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, რადგან დასაბუთებული ვარაუდის მტკიცებულებითი სტანდარტით დასტურდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქონების ჩამოსართმევად საჭირო შესაბამისი გარემოებების არსებობა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ანრი ოხანაშვილის განცხადებით, მნიშვნელოვანია, ლეგიტიმური მიზნების განხილვა წარიმართოს ინდივიდუალური მიდგომის გათვალისწინებით.

– გთავაზობთ, რომ ავტომატურად განკარგვის აკრძალვა არ ნიშნავდეს სარგებლობის აკრძალვას. იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ ქონებას ახალი დანაშაულის ჩასადენად გამოიყენებენ ან გადამალავენ, გაასხვისებენ ან დახარჯავენ, ამ შემთხვევებში, ქონებაზე ყადაღის დადება მესაკუთრეს ან მფლობელს აუკრძალავს ქონების განკარგვას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, აგრეთვე, ქონებით სარგებლობის აკრძალვაც მოხდება, – აღნიშნა ანრი ოხანაშვილმა.

მისი თქმით, კანონპროექტით ასევე განისაზღვრება, რომ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას ან ქონებას, რომლის მიმართაც ჩადენილია დანაშაული, ყადაღა სამ ეტაპად ედება და თითოეულ ეტაპზე ყადაღის დადების ვადა არის 12 თვე. ასევე, თუ დაწყებულია „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შესაბამისი პროცედურები, ქონებაზე ყადაღის დადება ხუთ ეტაპად ხორციელდება და თითოეულ ეტაპზე ყადაღის დადების ვადა, ასევე, 12 თვეა. ყოველ შემდეგ ეტაპზე, დადგენილი ვადით ქონებაზე ყადაღის შესახებ სასამართლოს შუამდგომლობით ბრალდების მხარე მიმართავს.

გაძვირდება თუ არა საქართველოში გაზი

– საქართველოში მოსახლეობისთვის ფასი ე.წ. სოციალური გაზიდან გამომდინარეობს. ანუ ჩვენ სოციალური გაზის რაოდენობით ვიჭერთ ამ ტარიფს, თორემ რეალური ფასები რომ შევიყვანოთ ტარიფში, მაშინ ის გაცილებით მაღალი იქნებოდა, – განაცხადა ენერგეტიკოსმა გია არაბიძემ.

მისივე თქმით, იმისათვის, რომ ეს ტარიფი იყოს, რაც დღეს გვაქვს და ენერგოკომპანიებმა მუშაობა შეძლონ, 1.000 კუბურ მეტრს 90 დოლარამდე ასუბსიდირებს სახელმწიფო, როდესაც 142 დოლარია თბოელექტროსადგურებისთვის.

– ამის საშუალებას იძლევა ის დიდი მოთხოვნა, რაც აზერბაიჯანს ევროპაში აქვს მიწოდებული, დაახლოებით 17-18 მილიარდი კუბური მეტრის გატარებაზეა საუბარი. ის მოლოდინი, რომ უახლოეს მომავალში ძალიან გაიზრდება გატარებული გაზის რაოდენობა, იმას ნიშნავს, რომ სოციალური გაზი მოიმატებს და ტარიფი დარეგულირდება, ამიტომ მოლოდინი, რომ ჩვენთან ფასები, შესაძლოა, გაიზარდოს, არ არსებობს, კომერციულზე არ მაქვს საუბარი, მაგრამ მოსახლეობისთვის რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოხდება.

დაახლოებით 800-დან 900 კუბამდეა ე.წ. კომერციული გაზი და მისი შეძენის ფასი ჩვენს ბაზარზე დიდად არ მერყეობს. რაოდენობრივად იმდენად მცირეა ეს გაზი, რომ არც კი ღირს მისი თამაში. ასე რომ, წინაპირობა, რომ რადიკალური ცვლილება უნდა მოვახდინოთ გაზის ტარიფში, არ ჩანს, – განაცხადა გია არაბიძემ.

ადვოკატი: „გრიგოლ ნარსიას წინააღმდეგობა არ გაუწევია, დაკავებისას დაზიანებები მიიღო“

ქუთაისში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე თავდასხმის საქმეზე დაკავებულ გრიგოლ ნარსიას სახის არეში დაზიანებები აქვს.

აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ნარსიას ადვოკატმა ციცინო ბაბუნაშვილმა განუცხადა.

მისი განმარტებით, ადვოკატები გრიგოლ ნარსიას დაზიანებებთან დაკავშირებით ექსპერტიზის დანიშვნას მოითხოვენ. ბაბუნაშვილი არ გამორიცხავს, მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ კიდევ ერთი – ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა მოითხოვოს.

– დაზიანებები აქვს. მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავებმა ტელევიზიით გააჟღერეს, რომ ნარსიამ დაკავებისას წინააღმდეგობა გაუწია, ეს ასე არ ყოფილა, ნარსიას დაკავებისას წინააღმდეგობა არ გაუწევია, დაზიანებები კი სწორედ დაკავებისას მიიღო. ჩვენ, დროებითი დაკავების იზოლატორიდან დაზიანებებთან დაკავშირებით სამედიცინო ისტორია გამოვითხოვეთ და ექსპერტიზის დანიშვნასაც მოვითხოვთ. ახლა ის სტრესულ მდგომარეობაში იმყოფება. შესაძლოა, ფსიქიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებითაც ჩატარდეს ექსპერტიზა, – განაცხადა ციცინო ბაბუნაშვილმა.

როგორც ადვოკატი აღნიშნავს, ბანკში შეჭრის მიზეზი დაკავებულის შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაა. ბაბუნაშვილი ასევე აღნიშნავს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს მძევლების აყვანა დაგეგმილი არ ჰქონდა. ადვოკატის თქმითვე, მას შემდეგ, რაც ნარსიამ სალაროში ფული მოითხოვა და სამართალდამცავები მივიდნენ, ის იძულებული გახდა, მძევლები აეყვანა.

– მოტივთან დაკავშირებით, ბავშვის ჯანმრთელობა და ეკონომიკური მდგომარეობა დაასახელა. შვილი გულის მანკითაა დაავადებული, რომელიც 6 თვიდან მკურნალობს და ახლა 14 წლისაა, სარეაბილიტაციო კურსს ჟვანიას კლინიკაში გადის, რომელიც საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. გულზე შუნტირება 6 თვის ასაკში აქვს გაკეთებული და ჟვანიას კლინიკაში ყოველწლიურად გადის სარეაბილიტაციო კურსს. მას სახელმწიფოსგან არანაირი დახმარება არ ჰქონია.

ნარსიას მძევლების აყვანა დაგეგმილი არ ჰქონია, უბრალოდ გარემოებიდან გამომდინარე მოხდა, – განაცხადა ბაბუნაშვილმა.

მისივე თქმით, ნარსია წარსულში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კონტროლიორად მუშაობდა.

– იარაღთან დაკავშირებით გეტყვით, რომ სათამაშო იყო და ნამდვილი ასაფეთქებელი არ ყოფილა. რაც შეეხება ხელყუმბარას, შესაძლოა, ის სპორტული იყო. რაც შეეხება იარაღს, საიდანაც გაისროლა, „სტარტოვკა“ იყო, რომელსაც მხოლოდ ხმა აქვს. ხელყუმბარაზე განაცხადა, რომ სამხედრო სამსახურიდან წამოიღო და სარდაფში ჰქონდა დიდი ხანი და, შესაძლოა, სპორტული იყოსო, თვითონაც არაა დარწმუნებული, საბრძოლო არის თუ არა.

დაცვის პოლიციის თანამშრომელი იყო, შემდეგ, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში – გეგუთის მე-14 დაწესებულებაში კონტროლიორი გახლდათ. იქ, 2010 წლიდან 2012 წლამდე მუშაობდა, – განაცხადა ბაბუნაშვილმა.

როგორც ნაცნობები ამბობენ, გრიგოლ, გიგა ნარსია წარსულში ნასამართლევია, თუმცა, ეს საქართველოს ტერიტორიაზე არ მომხდარა. მან სასჯელი თურქეთში მოიხადა. ის ყოფილი პოლიციელია, კერძოდ კი, დაცვის სამსახურში მუშაობდა.

მის სახლში, წყალტუბოს სოფელ ბანოჯაში, საგამოძიებო მოქმედებები მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა.

ცნობილია, რომ დაკავებულს დედა ჰყავს საბერძნეთში და პერიოდულად დედასთან ჩადიოდა.

ცნობისთვის, გუშინ ქუთაისში 38 წლის გრიგოლ ნარსია შოთა რუსთაველის გამზირზე მდებარე „საქართველოს ბანკის“ ფილიალში შეიჭრა და დიდი ოდენობის თანხის დაუფლების მიზნით 14 პირი მძევლად აიყვანა, ის 2 მლნ დოლარს ითხოვდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მძევლად აყვანილი ყველა ადამიანი ეტაპობრივად გაათავისუფლა, რის შემდეგაც სამართალდამცველებმა თავდამსხმელი ბრალდებულის სახით ადგილზე დააკავეს. მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს.

გრიგოლ ნარსიას ბრალს დღეს წაუყენებენ.

გრიგოლ ლილუაშვილი: „სპეცოპერაცია იყო ჩინებულად, მაღალპროფესიონალურ დონეზე ჩატარებული“

20 სექტემბრის სპეცოპერაცია იყო ჩინებულად, მაღალპროფესიონალურ დონეზე ჩატარებული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, – ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა, გრიგოლ ლილუაშვილმა განაცხადა, რითაც გამოეხმაურა ქუთაისში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე მომხდარ თავდასხმას.

მისი თქმით, დაკავებულზე დამატებითი ინფორმაცია არ აქვს, თუმცა მისი იდენტიფიცირება უკვე მოხდა.

– ყველა სამართალდამცავი უწყება, მსგავსად შინაგან საქმეთა სამინისტროსი, მონდომებულია იმისათვის, რომ ქვეყანაში იყოს მშვიდობა, სტაბილურობა და ა.შ.

დაკავებულზე დამატებით ინფორმაცია მე არ მაქვს, პიროვნების იდენტიფიცირება უკვე მოხდა, გუშინ გამჟღავნდა მისი სახელი და გვარი. დანარჩენ დეტალებს ვერ მოგახსენებთ, ვინაიდან გამოძიების პრეროგატივაა და თავად გამომძიებლები მოგახსენებენ ყველაფერს, – აღნიშნა გრიგოლ ლილუაშვილმა.

შეგახსენებთ, 20 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქუთაისში, „საქართველოს ბანკის“ ერთ-ერთ ფილიალზე თავდასხმის, ტერორისტული აქტის, ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდების და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით 1985 წელს დაბადებული გრიგოლ ნარსია დააკავა.

ლევან მურუსიძე: „ვერავინ დამაბრალებს მოსამართლესთან ძველბიჭურად, ქურდულად მოქცევას ან საქმის „გარჩევას“

– ბევრი წარმოუდგენელი რამ დაუბრალებიათ ჩემთვის, მაგრამ, ალბათ, ვერავინ დამაბრალებს მოსამართლესთან უდიერად, ძველბიჭურად, ქურდულად მოქცევას ან საქმის „გარჩევას“. ეს აბსურდული თემაა, – ამის შესახებ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ ლევან მურუსიძემ იუსტიციის საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რითაც გამოეხმაურა მისი ყოფილი კოლეგის, ბესარიონ ალავიძის განცხადებას, რომ მოსამართლეებზე ხდება ზეწოლა და „ქუჩური წესებით“ საქმის გარჩევა იმისათვის, რომ საქმეზე დადგეს კონკრეტული შედეგი.

ლევან მურუსიძე ბესარიონ ალავიძის ამ განცხადებას სიცრუეს უწოდებს და მიიჩნევს, რომ ამგვარი განცხადებებით სასამართლოს დისკრედიტაცია ხდება.

– ბესო ალავიძეზე იყო უსაფუძვლო განცხადება, რომ თითქოს მასზე ხდებოდა ზეწოლა, მის ოჯახს ან მას პიროვნულად საფრთხე ემუქრება, ასევე აბსურდული განცხადებები, რომ ვიღაცები ოთახში ჩაკეტეს. ბევრი წარმოუდგენელი რამ დაუბრალებიათ ჩემთვის, მაგრამ, ალბათ, ვერავინ დამაბრალებს მოსამართლესთან უდიერად, ძველბიჭურად, ქურდულად მოქცევას ან რაღაც საქმე გამერჩიოს, ან კიდევ, ჩემი მხრიდან ვინმეს ოჯახს საფრთხე შექმნოდა. ეს აბსურდული თემაა, მაგრამ რატომღაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა აიტაცეს. დარწმუნებული ვარ, აქვთ იმის გონიერება და ხვდებიან, რომ ეს ასე არ არის, მაგრამ უბრალოდ, არის რაღაც კამპანიური ხასიათი, რომელსაც ახლა სოსო გოგაშვილიც შეუერთდა. შესაბამისად, მუქარები, რომელიც ჩემ მიმართ არის წამოსული, 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ასევე გაგრძელდება სასამართლოს მიმართ და იქნება კომპრომატები, – განაცხადა მურუსიძემ.

ამასთან, როგორც მურუსიძემ აღნიშნა, სოსო გოგაშვილის წინააღმდეგ აპირებს პროკურატურას მიმართოს. მისივე განმარტებით, პატიმრობაში მყოფმა სოსო გოგაშვილმა წერილით მიმართა, სადაც აღნიშნავდა, რომ შეცვლილიყო მისი აღკვეთის ღონისძიება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სასამართლოს წინააღმდეგ გარკვეული ნაბიჯების გადადგმით იმუქრებოდა.

– სიმართლე გითხრათ, პროკურატურაში მისვლას მართლა ვაპირებ და მინდა მტკიცებულებით მივიდე. ძალიან გთხოვთ, ყველანი ვიყოთ ფხიზლად. თან ჩვენი პრობლემა ის არის, რომ ჩვენ პოლიტიკაში ვერ ვერევით. ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია, როდესაც ერთ-ერთი პოლიტიკოსი გამოდის და ყოველგვარი არგუმენტების გარეშე ამბობს, რომ ეს არის „კლანი“ და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი. ეს არის უპასუხისმგებლობა, იმიტომ, რომ პოლიტიკოსს ასე მიაჩნია – შეუძლია ყველაფერზე ილაპარაკოს და პასუხი არაფერზე მოეთხოვება. ამიტომ, მივდივარ მე პროკურატურაში, მინდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდეს, თუ რაღაც გამოვლინდება, რაც რეალურად ფაქტი არ არის და ის ცილისწამებაა, ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს ან მორალურად, ან თუ არის დანაშაულის ნიშნები, დანაშაულის ნიშნებზე უნდა დაიწყოს გამოძიება, თორემ, ასე არ შეიძლება. გამოდიან და ჩირქს სცხებენ სასამართლოს, – განაცხადა მურუსიძემ.

როგორც მურუსიძემ აღნიშნა, მოსამართლე ბესარიონ ალავიძემ სამჯერ აღიარა, რომ „რუსთავი 2“-ის საქმეზე მოსამართლეებზე და მათ შორის, მასზე ზეწოლა არ მომხდარა, თუმცა, ამის მიუხედავად, „აგორებენ ამ თემას და უნდათ, რომ მოხდეს სასამართლოს დისკრედიტაცია“.

– ბოდიში, რომ აღელვებული ვარ, ეს იყო ჩემი მოვალეობა, როგორც მოსამართლის, რომელმაც მრავალი წელი გავატარე სასამართლო სისტემაში. ამის დამალვას მე ვერაფრით შევძლებდი, – განაცხადა მურუსიძემ და აღნიშნა, რომ პირველ რიგში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო არის ის ორგანო, რომელმაც რეაგირება უნდა მოახდინოს იმ ყველაფერზე, რაზეც საბჭოს სხდომაზე ისაუბრა.

მუხიანში, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში ორი ახალგაზრდა, სავარაუდოდ, ორი დღის გარდაცვლილია

მუხიანში, დუმბაძის ქუჩაზე, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში ორი ახალგაზრდა, სავარაუდოდ, ორი დღის გარდაცვლილია.

როგორც ახალგაზრდების მეზობლები აცხადებენ, გარდაცვლილები, სავარაუდოდ, სტუდენტები იყვნენ და ისინი აღნიშნულ სახლში ქირით ცხოვრობდნენ. ერთ-ერთი მეზობლის თქმით, ახალგაზრდები, სავარაუდოდ, ორი დღის გარდაცვლილები არიან.

– გუშინ, საღამოს, სამსახურიდან რომ მოვედი, ადგილზე სამართალდამცავები, სასწრაფოს ექიმები დამხვდნენ და მერე გავიგე მომხდარის შესახებ. ამ ბიჭებს არ ვიცნობდი, თვალით არ მინახავს არასდროს. აქ, დაახლოებით, ერთი თვე იქნება, რაც ცხოვრობენ, რადგან იმ სახლში მანამდე სხვა ოჯახი ცხოვრობდა. როგორც ვიცი, წინა დღის გარდაცვლილები არიან. თუ არ ვცდები, ადგილზე ერთ-ერთის მამა იყო მოსული. კორპუსში, სადარბაზოში გაზის სუნი არ ყოფილა, სხვა დეტალები არ ვიცი, – აცხადებს ერთ-ერთი მეზობელი.

ახალგაზრდების ცხედრები ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გადაასვენეს. სწორედ აღნიშნულმა უნდა დაადგინოს გარდაცვალების ზუსტი მიზეზი.

ცნობისთვის, მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობას გულისხმობს.

ნიკა კვარაცხელიას განზრახ მკვლელობის საქმეზე სასამართლომ დამნაშავედ კიდევ ერთი ადამიანი ცნო

22 წლის ნიკა კვარაცხელიას მკვლელობის საქმეზე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვისთვის ბრალდებული ირაკლი ბიბინეიშვილი თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას საქართველოს გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, სასამართლომ ბიბინეიშვილს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. პროკურატურის განმარტებით, მსჯავრდებულისთვის ცნობილი იყო, რომ აკო ჭელიძემ და გიორგი კავილაძემ ნიკა კვარაცხელიას მკვლელობა განახორციელეს, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ისინი საცხოვრებელ სახლში შეიფარა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ნიკოლოზ კვარაცხელიას განზრახ მკვლელობის საქმეზე, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვისთვის ბრალდებული ი.ბ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ბრალდებულისთვის ცნობილი იყო, რომ ა.ჭ.-ს და გ.კ.-ს ჩადენილი ჰქონდათ ნიკოლოზ კვარაცხელიას განზრახ მკვლელობა და მათ პოლიცია ეძებდა, თუმცა, მან დაფარა ბრალდებულთა ადგილსამყოფელი, არ შეატყობინა სამართალდამცავებს და დანაშაულის ჩამდენი პირები საცხოვრებელ სახლში შეიფარა.

სამართალდამცველებმა ი.ბ. 24 თებერვალს მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის მესამე ნაწილით (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა) წარედგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 3 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ნიკოლოზ კვარაცხელიას მკვლელობის საქმიდან ცალკე წარმოებად გამოყოფილია სისხლის სამართლის საქმე მკვლელობასთან შესაძლო კავშირში მყოფი სხვა პირების დადგენის მიზნით. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება მიმდინარეობს“ – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საგარეჯოს სოფელ ქეშალოში 40 წლამდე ასაკის მამაკაცი მოკლეს

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქეშალოში 40 წლამდე ასაკის მამაკაცს რამდენიმე ცეცხლნასროლი ჭრილობა მიაყენეს. ადგილობრივების ინფორმაციით, აიდინ ჰამზაევი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, საკუთარ კომერციულ ფართში ჩაცხრილეს, სადაც ის მცირე ბიზნესით იყო დაკავებული.

ადგილობრივებს მომხდარის კონკრეტულ მიზეზზე საუბარი უჭირთ, თუმცა ერთ-ერთ ვერსიად წარსულში ფულის გამოძალვის ფაქტს განიხილავენ.

შემთხვევა გუშინ დილით მოხდა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს. დანაშაულის ადგილზე პოლიციაა მობილიზებული.

პუტინი: „ჩვენ არ დავემორჩილებით შანტაჟსა და დაშინებას“

1160 წლის განმავლობაში ჩვენ მტკიცედ დავრწმუნდით, რომ რუსეთისთვის სასიკვდილოდ საშიშია სუვერენიტეტის თუნდაც მცირე ხნით დასუსტება, ჩვენგან აღარ მოელიან ასეთ შეცდომებს, არ დავემორჩილებით შანტაჟსა და დაშინებას, – ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რუსეთის სახელმწიფოებრიობის 1160 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ კონცერტზე განაცხადა.

– 1160 წლის განმავლობაში ჩვენ მტკიცედ ვისწავლეთ, რომ რუსეთისთვის სასიკვდილოდ საშიშია სუვერენიტეტის თუნდაც მცირე ხნით დასუსტება, ეროვნული ინტერესების მიტოვება. ასეთ პერიოდებში რუსეთის არსებობას საფრთხე ემუქრებოდა, მეტი ასეთი შეცდომა არ იქნება მოსალოდნელი. ჩვენ არ დავემორჩილებით შანტაჟსა და დაშინებას, – განაცხადა პუტინმა.

მან დასძინა, რომ რუსეთი საუკუნეების განმავლობაში შენდებოდა, როგორც „საერთო და მშობლიური სახლი მრავალი ეროვნებისა და რელიგიის ხალხისთვის“.

საპროტესტო აქციებზე რუსეთის 14 ქალაქში უკვე დაკავებულია 1000-მდე ადამიანი

საპროტესტო აქციებზე რუსეთის 14 ქალაქში უკვე დაკავებულია 1000-მდე ადამიანი, – ამის შესახებ ინფორმაციას პორტალი ОВД-Инфо ავრცელებს.

ამ მომენტისთვის, ვლადიმირ პუტინის მიერ გამოცხადებული ნაწილობრივი მობილიზაციის საწინააღმდეგო აქციები უკვე მიმდინარეობს რუსეთის ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ქალაქებში.

პორტალის ინფორმაციით, მინიმუმ 24 ადამიანი დაკავებულია ეკატერინბურგში, 17 – კრასნოიარსკში, 15 – პერმში, 11 – უფაში, 7 – ირკუტსკში, 5 – ნოვოსიბირსკში, 4 – ულან-უდეში, 3 – მოსკოვში, 3 – ჟელეზნოგორსკში, 2 – ტომსკში, 2 – იაკუტსკში, 2 – ჩელიაბინსკში, 1 – სურგუტში და 1 – ბელგოროდში.

ზელენსკი: „არ მჯერა, რომ მსოფლიო პუტინს ატომური იარაღის გამოყენებას მისცემს“

არ მჯერა, რომ მსოფლიო პუტინს ატომური იარაღის გამოყენების საშუალებას მისცემს, – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ გამოცემა Bild-თან ინტერვიუში განაცხადა.

მან ასევე აღნიშნა, რომ პირადად არ სჯერა პუტინის მიერ ატომური იარაღის გამოყენების შესაძლებლობის, თუმცა ამავდროულად აღნიშნა, რომ „ამ კაცის თავში ჩახედვა არ შეგვიძლია, არის რისკები“.

მისი თქმით, პუტინის მუქარის აყოლა არ შეიძლება.

– პუტინს შეუძლია ხვალ თქვას: უკრაინის გარდა, ჩვენ ასევე პოლონეთის ნაწილი გვინდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ატომურ იარაღს გამოვიყენებთო. ჩვენ არ შეგვიძლია ასეთ კომპრომისებზე წასვლა, – აღნიშნა ზელენსკიმ.

ოლაფ შოლცი: „პუტინის ბრძანება ნაწილობრივ მობილიზაციასა და „რეფერენდუმების“ ჩატარებაზე სასოწარკვეთის აქტია“



© Markus Schreiber/Bündnis für die Ukraine alliance

გერმანიის კანცლერის ოლაფ შოლცის შეფასებით, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ბრძანება ნაწილობრივი მობილიზაციისა და „რეფერენდუმების“ ჩატარების შესახებ, „სასოწარკვეთის“ აქტია.

გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას შოლცმა განაცხადა, რომ პუტინს „კრიმინალური ომით“ მოგება არ შეუძლია და „ბოლო გადაწყვეტილებებით ის ყველაფერს ბევრად აუარესებს“.

– „პუტინმა თავიდანვე სწორად ვერ შეაფასა უკრაინელების წინააღმდეგობის გაწევის ნება“, ასევე მისი მოკავშირეების ერთიანობა და მიზანსწრაფულობა, – დასძინა შოლცმა.

მისი თქმით, რუსეთის მიერ ოკუპირებულ უკრაინის რეგიონებში „ცრუ რეფერენდუმი“ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ „რა თქმა უნდა, არასოდეს იქნება მიღებული“.

– სამყაროში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, კანონმა უნდა გაიმარჯვოს ძალაზე და ძალა არასოდეს იქნება კანონზე ძლიერი, – განაცხადა გერმანიის კანცლერმა.

იენს სტოლტენბერგი: „პუტინი საშიშ და დაუფიქრებელ ბირთვულ რიტორიკას იყენებს“

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ვლადიმერ პუტინი „საშიში და დაუფიქრებელი“ ბირთვული რიტორიკის გამოყენების გამო გააკრიტიკა.

Reuters-თან ინტერვიუში სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ბირთვული ომი არასოდეს უნდა მოხდეს და პუტინის გამოსვლა მიუთითებს იმაზე, რომ ომი არ მიდიოდა მისი გეგმების მიხედვით და მისი სიტყვები მოულოდნელი არ იყო.

ამათან, ნატოს ლიდერმა აღნიშნა, რომ პუტინმა უკრაინაში არასწორი გათვლები გააკეთა და შეცდომა დაუშვა.

მისი თქმით, ეს ყველაფერი იმის მტკიცებულებაა, რომ რუსული ჯარები არასაკმარისად არიან აღჭურვილნი.

ვლადიმერ პუტინის მიერ გამოცხადებულ ნაწილობრივ მობილიზაციაზე საუბრისას, ნატოს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ მეტი ჯარის არსებობა კონფლიქტის ესკალაციას აუცილებლად გამოიწვევს.

გენერალურმა მდივანმა დასძინა, რომ ნატომ უპრეცედენტო მხარდაჭერა გაუწია უკრაინას და მჭიდრო დიალოგს აწარმოებს თავდაცვის ინდუსტრიასთან, რათა გაზარდოს იარაღისა და საბრძოლო მასალის წარმოება.

სტოლტენბერგმა იმედი გამოთქვა, რომ უკრაინის ომი მოლაპარაკებების მაგიდასთან კიევისთვის მისაღები შედგებით დასრულდება.

ევროკავშირი: ვლადიმერ პუტინი უკრაინაში ძალიან სარისკო ბირთვულ თამაშს აწყობს

ვლადიმერ პუტინი უკრაინაში ძალიან საშიშ სარისკო ბირთვულ თამაშს აწყობს, – ამის შესახებ ევროკომისიის განცხადებაშია აღნიშნული.

ევროკომისიაში აცხადებენ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ რუსეთის პრეზიდენტზე ზეწოლა უნდა განახორციელოს, რათა მან ასეთი უგუნური ქცევა შეწყვიტოს.

– პუტინი ბირთვულ აზარტულ თამაშს აწყობს. ის ბირთვულ ელემენტს მისი ტერორის არსენალის ნაწილად იყენებს, ეს მიუღებელია, – განაცხადა ევროპული კომისიის პრესსპიკერმა პიტერ სტანომ.

მისი თქმით, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა უკვე გამართეს საკოორდინაციო შეხვედრა, სადაც გაიმართა დისკუსია უკრაინის წინააღმდეგ აგრესიული ომის გაგრძელებაზე ევროკავშირის რეაგირებასთან დაკავშირებით.

– ეს მოიცავს აგრესიის ყველა ასპექტს, ჩადენილ დანაშაულებს, რეფერენდუმებს, მასობრივი საფლავების აღმოჩენებს, – აღნიშნა ევროკომისიის პრესსპიკერმა.

მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ ევროკავშირი არ აღიარებს მოსკოვის მიერ მხარდაჭერილ ყალბ და უკანონო რეფერენდუმებს უკრაინის ოკუპირებულ რეგიონებში.

„ლიეტუვის სწრაფი რეაგირების ძალები მზადყოფნაშია მოყვანილი“

ლიეტუვის თავდაცვის მინისტრის, არვიდას ანუსაუსკასის განცხადებით, რუსეთის მიერ სამხედრო მობილიზაციის გამოცხადების გამო ქვეყანამ სწრაფი რეაგირების ძალები მზადყოფნაში მოიყვანა.

– იმის გამო, რომ რუსეთის სამხედრო მობილიზაცია ჩვენს საზღვრებთანაც (კალინინგრადის რეგიონი) განხორციელდება, ლიეტუვის სწრაფი რეაგირების ძალები მზადყოფნაშია მოყვანილი, რათა თავიდან ავიცილოთ ნებისმიერი პროვოკაცია რუსეთის მხრიდან, – წერს მინისტრი „ტვიტერზე“.

შეგახსენებთ, რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა, დღეს ქვეყანაში ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა. რუსეთის თავდაცვის მინისტრის, სერგეი შოიგუს განცხადებით, მობილიზაციის ფარგლებში 300.000 რეზერვისტს გაიწვევენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპორტი

რუსები ძიუდოდანაც მოკვეთეს

რუსეთის ძიუდოს ფედერაცია მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოკვეთეს. შესაბამისად, რუსი ძიუდოისტები 6-13 ოქტომბერს ტაშკენტში გასამართ მსოფლიო პირველობაზე ვერ იჭიდავებენ.

უკრაინის ძიუდოს ფედერაციამ საერთაშორისო ფედერაციას (იჯფ) ულტიმატუმი წაუყენა – მსოფლიოს ჩემპიონატზე რუსეთის დაშვების შემთხვევაში, ტურნირს ბოიკოტს გამოუცხადებდნენ.

აი, რას წერია განცხადებაში:

– 21 სექტემბერს, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა მსოფლიოში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით გადაწყვიტა, არ დაუშვას რუსი და ბელარუსი სპორტსმენები ძიუდოს საერთაშორისო შეჯიბრებებში 2023 წლის იანვრამდე.

არადა, აქამდე, იჯფ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეკომენდაციას სრულად არ იზიარებდა. შეგახსენებთ, რომ რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებული ომის გამო საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებს მოუწოდა, შეჯიბრებებში რუსი და ბელარუსი სპორტსმენები არ დაეშვათ.

იჯფ კი, იშვიათი გამონაკლისი იყო და რუსმა ძიუდოისტებმა ივნისში გამართულ ულან-ბატორის გრანდ სლემზე იასპარეზეს, რასაც უკრაინელთა პროტესტი მოჰყვა. ახლა იჯფ-მ უკან დაიხია.

ფუტსალის ნაკრებმა რიგის თასი მოიგო

საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები ლატვიაში ჩატარებული ტურნირის, რიგის თასის გამარჯვებული გახდა.

ავთანდილ ასათიანის გუნდმა, ლატვიის დედაქალაქ რიგაში, ამხანაგური ტურნირის მეორე მატჩში მასპინძელი ლატვია 4:2 დაამარცხა.

ჩვენმა გუნდმა უპირატესობა პირველივე ტაიმში მოიპოვა. თალესის გოლითა და ფერნანდო დრასლერის დუბლით შესვენებაზე ორბურთიანი ფორით გავიდა – 3:1.

მეორე ნახევარში ლატვიელებმა სხვაობა შეამცირეს, მაგრამ 33-ე წუთზე ბინიომ სხვაობა ისევ ორბურთიანი გახადა და დარჩენილ დროში არაფერი შეცვლილა – 4:2.

საქართველოს ნაკრებმა რიგის თასზე ორი მატჩი ჩაატარა და ორივე მოიგო – ლატვიამდე ლიეტუვის ნაკრები 6:3 დაამარცხა.

საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა რიგის თასზე მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადების ფარგლებში იასპარეზა. ჩვენი გუნდი 8 ოქტომბერს, მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრას თბილისში, ბელგიის წინააღმდეგ გამართავს. 12 ოქტომბერს, საქართველოს ნაკრები სტუმრად ავსტრიაში ითამაშებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ცხენირემი მშვილდ-ისრით მონადირეს თავს დაესხა

ამერიკის კოლორადოს შტატში გააფთრებულმა ცხენირემმა გადათელა მონადირე, რომელმაც მას ისარი ესროლა, მაგრამ მიზანს ააცილა.

აღნიშნული ინციდენტი 13 სექტემბერს მოხდა. მამაკაცი მშვილდ-ისრით ნადირობით იყო დაკავებული და, როდესაც ცხენირემი შენიშნა, ისარი ესროლა. ამან გარეული ცხოველი მხოლოდ დააფრთხო.

– ცხენირემი შეტრიალდა და მონადირეს ეძგერა, ჯერ რქებით დააგდო ძირს, შემდეგ კი ჩლიქებით გადათელა და სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებებს აყენებდა, – ნათქვამია კოლორადოს შტატის პარკებისა და ველური ბუნების განყოფილების პრეს-რელიზში.

აღსანიშნავია, რომ მამაკაცი ცოცხალი ცივი გონებისა და სწრაფი რეაქციის წყალობით გადარჩა. მან ასეთ მდგომარეობაში სიმშვიდის შენარჩუნება და განგაშის სიგნალის გაგზავნა ავარიული ჯიპს მოწყობილობის დახმარებით მოახერხა.

დაშავებული მონადირე გვერდით ჩავლილმა ხალხმა შენიშნა. ისინი მას ტყიდან გამოსვლაში დაეხმარნენ, რის შემდეგაც ის შვეულმფრენით საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ვილი სანიოლის გუნდი სრულად შეიკრიბა

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები უეფას ერთა ლიგის მატჩებისთვის სრული შემადგენლობით ემზადება. ს.კ. ზესტაფონის თბილისის ზღვის ბაზაზე ჩვენმა გუნდმა 23 ფეხბურთელის შემადგენლობით ივარჯიშა.

ვილი სანიოლის გუნდი წლის ბოლო ოფიციალურ საშინაო მატჩს ჩრდილოეთ მაკედონიის წინააღმდეგ 23 სექტემბერს გამართავს. 26 სექტემბერს ჩვენი გუნდი სტუმრად გიბრალტარში ითამაშებს.

საწვრთნელი პროცესის დასრულების შემდეგ, გუნდის კაპიტანმა **გურამ კაშიამ** ისაუბრა:

– ჩრდილოეთ მაკედონიის ნაკრები ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული კარგი გუნდია. ჯგუფში ჩვენი კონკურენტები არიან დღესაც. ვფიქრობ, რთული თამაში იქნება. ძალიან სასიამოვნოა, რომ ყველა ბილეთი გაყიდულია. რა თქმა უნდა, ეს ძალიან დიდი მუხტია ჩვენთვის, ფეხბურთელებისთვის. აუცილებლად ვეცდებით, რომ თამაში მოვიგოთ, რადგან ძალიან გვსურს ჯგუფური ეტაპის თბილისში მოგება.

ძალიან ჯანსაღი კონკურენციაა გუნდში, ყველა მეგობრულად არის განწყობილი ერთმანეთთან, რაც ძალიან სასიამოვნოა. კარგია ასეთ გუნდში მუშაობა. ბევრმა ფეხბურთელმა დიდი პროგრესი განიცადა და ეს ძალიან წაადგება ჩვენ ნაკრებს.

საქართველოს ნაკრები ჩრდილოეთ მაკედონიასთან სათამაშოდ ასეთი შემადგენლობით ემზადება:

მეკარეები: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლევან შოვნაძე (სამგურალი);

მცველები: გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვია, პოლონეთი), დავით ხოჭოლავა (კოპენჰაგენი, დანია), საბა კვერკველია (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), ლუკა ლოჩოშვილი (კრემონეზე, იტალია), გურამ გიორგელიძე (ზაგლებიე, პოლონეთი), ირაკლი აზაროვი (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი), გრიგოლ ჩაბრაძე (დინამო ბთ);

ნახევარმცველები: საბა ლობჟანიძე (ჰატაი, თურქეთი), გიორგი წიტაიშვილი, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ლეხი, პოლონეთი), ანზორ მექვაბიშვილი (დინამო თბ), გიორგი აბურჯანია (ჟილ ვისენტე, პორტუგალია), გიორგი ჩაკვეტაძე (სლოვანი, სლოვაკეთი), ვლადიმერ მამუჩაშვილი (დინამო ბთ), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი), ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია), ვაკო ყაზაიშვილი (ულსანი, ს.კორეა);

თავდამსხმელები: გიორგი მიქაუტაძე (მეცი, საფრანგეთი), ბუდუ ზივზივაძე (ფეჰერვარი, თურქეთი).

კვარაცხელიას მსურველმა გუნდებმა მცდარი გადაწყვეტილება მიიღეს

რაც უფრო იმატებს საქართველოს ნაკრებისა და იტალიური ნაპოლის შემტევის, ხვიჩა კვარაცხელიას პოპულარობა, მით მეტი ინფორმაცია იხსნება მისი დიდი საფეხბურთო ტალანტის შესახებ. როგორც ირკვევა, ხვიჩას გადაბირებით არა თუ ნაპოლი, არამედ, რამდენიმე საფეხბურთო გრანდი იყო დაინტერესებული.

თავდაპირველად ყველაფერს ფარდა ნაპოლის სპორტულმა დირექტორმა კრისტიანო ჯუნტოლიმ ახადა, ვინაც ტრანსფერის დეტალები შორეული მოვლენებით გაიხსენა.

კრისტიანო ჯუნტოლი:

– პირველად ხვიჩას თამაში ვიდეოს საშუალებით ვნახე. შუაგული პანდემია იყო. ჩვენთან ჯენარო გატუზო მუშაობდა. მაშინვე მოგვეწონა. მახსოვს, უფრო მეტ დეტალებში გასარკვევად, კახა კალაძეს დავურეკეთ,. კვარაცხელია მოსკოვის ლოკომოტივში გადავიდა, მაგრამ ყაზანის რუბინში უკეთესად ითამაშა.

თავდაპირველად კვარაცხელიაში 30 მილიონი ევრო მოგვთხოვეს და კონტაქტები მოლაპარაკებების დაწყებამდე დავხურეთ. ოსიმენი ახალი ნაყიდი გვყავდა და ამდენ ფულს ვერ გადავიხდიდით. თუმცა, ეს ბიჭი ჩემს გონებაში დარჩა. როდესაც უკრაინაში კონფლიქტი დაიწყო, ბათუმის დინამოში გადავიდა და ახალი კონტრაქტი გავამზადეთ. შედეგად 10 მილიონ ევროდ გარიგება დავხურეთ.

ჩვენ იუვეზე, რომასა და სოსიედადზე სწრაფად ვიმოქმედეთ. კვარაცხელია ჩვენს ბლოკნოტში ყოველთვის ეწერა. ლუჩანო სპალეტისაც მაშინვე მოეწონა. ხვიჩა კონტრაქტზე ხელის მოსაწერად რომ ჩამოვიდა, მაშინვე სპალეტისთან მილანის სახლში გავუშვი. ერთმანეთს კარგად გაუგეს.

ერთი იყო კვარაცხელიას ყიდვა, მეორე, მისი ინსინიეს შემცვლელად მოყვანა. ეს დიდი რისკიც იყო, მაგრამ ნაბიჯი გადავდგით. შემიძლია ვთქვა – მოვიგეთ.

ჯუნტოლიმ სამი კონკურენტი კლუბი ახსენა. მათგან ერთი ესპანური. თუმცა, ირკვევა ისიც, რომ კვარას გადაბირება კიდევ რამდენიმე ესპანურ კლუბს სურდა.

აი, რას წერს იქაური **მედია:**

– ესპანურ ენაში არსებობს გამონათქვამი – ჩვენ ყველანი მანოლეტები ვართ. ეს გამოთქმა ეხება ხალხს, რომელსაც რისკის გაწევა არ ახასიათებს და მხოლოდ ფაქტების საფუძველზე მოქმედებს. მსგავსი შემთხვევა საფეხბურთო სამყაროში, კერძოდ, სატრანსფერო პერიოდის განმავლობაში, არაერთხელ გვინახავს. ერთ-ერთი ასეთი მოთამაშე ხვიჩა კვარაცხელია აღმოჩნდა. ქართველი ჩემპიონთა ლიგისა და სერია ა-ს ახალი ვარსკვლავია. ნაპოლიში ბრწყინვალე სეზონს ატარებს. კვარას შეძენა გასულ ზაფხულს ესპანურ კლუბებს უფრო დაბალ ფასად, ან სულაც უსასყიდლოთ შეეძლოთ.

21 წლის გარემარბი რამდენიმე თვის წინ, შესაძლოა, ლა ლიგაში აღმოჩენილიყო. ვალენსიასთან მოლაპარაკებების დროს შუამავლის როლს საფეხბურთო მენეჯერი ანტონიო ლოპეს ვალენსია ასრულებდა და ხელმძღვანელობას აუხსნა, რომ უკრაინა-რუსეთის ომის გამო, კვარას დამატება სრულიად უსასყიდლოდ შეეძლოთ. საბოლოოდ გარიგება ვერ შედგა და კვარაცხელია ბათუმის დინამოში გადავიდა, რამდენიმე თვეში კი, დაახლოებით, 11 მილიონ ევროდ, ნაპოლის რიგებში აღმოჩნდა.

ვალენსია არ იყო ერთადერთი კლუბი, რომელიც ქართველის გადაბირებით ინტერესდებოდა. მის კანდიდატურას აქტიურად სევილიაც განიხილავდა. ამაზე ხვიჩას ერთ-ერთი წარმომადგენელი **თემურ ლეფსაიაც** საუბრობდა:

– ვალენსია არ იყო ერთადერთი კლუბი, რომელიც კვარაცხელიას შეძენით იყო დაინტერესებული და გასულ ზაფხულს სევილიაც ძალიან აქტიურობდა. ხვიჩას შესახებ ორივე კლუბის წარმომადგენლებს ველაპარაკე, მაგრამ, როგორ განვითარდა მოვლენები, ყველამ ნახა.

საბოლოოდ, არც სევილია გამოვიდა და კვარაცხელია ახლა ნაპოლის წარმატების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედია. გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფსა და სერია ა-ს გათამაშებას ლიდერობს. ქართველს ნეაპოლელებთან კონტრაქტი 2027 წლამდე აკავშირებს. დიდი შანსია, კლუბმა მომავალში მისი გასხვისებით სატრანსფერო რეკორდი მოხსნას. ფაქტია, ვალენსიამ და სევილიამ კვარას ხელიდან გაშვებით დიდი შეცდომა დაუშვეს.

კონფლიქტური ქვეყნები ერთ ჯგუფში ვერ მოხვდებიან

უეფამ ევრო 2024-ის წილისყრის დეტალები დაამტკიცა. მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების გამო, ეს პროცედურა აუცილებლად ჩასატარებელი იყო.

საბოლოოდ, გაირკვა, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპის წილისყრაში რუსეთის ნაკრები მონაწილეობას ვერ მიიღებს. მიზეზი ნათელია: უკრაინაში დაწყებული ომის შემდეგ რუსები ყველა საერთაშორისო ტურნირს ჩამოშორებული არიან.

ასევე ცნობილი გახდა, რომ ერთ ჯგუფში ვერ მოხვდებიან: უკრაინა და ბელარუსი; აზერბაიჯანი და სომხეთი; გიბრალტარი და ესპანეთი; კოსოვო და ბოსნია; კოსოვო და სერბეთი.

ევროპის ჩემპიონატი კი, 2024 წლის 14 ივნისიდან 14 ივლისამდე პერიოდში გერმანიაში ჩატარდება. მასპინძელი ქვეყანა ფინალურ ეტაპზე პირდაპირაა დაშვებული. გასარკვევია ის დარჩენილი 23 გუნდი, რომელიც ბუნდესქვეყანას ეწვევა.

შესარჩევ ციკლში 53 ნაკრები ითამაშებს, რომლებიც 10 ჯგუფში გადანაწილდებიან. შვიდ ჯგუფში 5-5 ნაკრები მოხვდება, სამში – 6-6. ჯგუფების გამარჯვებულები და მეორეადგილოსნები ფინალურ რაუნდში პირდაპირ გავლენ. დარჩენილი 3 საგზურის მფლობელთა ვინაობას საფლეიოფო მატჩები გაარკვევს.

9 ოქტომბერს, ფრანკფურტში, ერთა ლიგის რეიტინგით განთესილი 53 ნაკრები შვიდ კალათაში გადანაწილდება.

იქ იქნება საქართველოს ნაკრებიც, რომელსაც ევროპირველობაზე მოხვედრის შანსი ერთა ლიგიდანაც აქვს.

ც დივიზიონი ოთხივე ჯგუფის გამარჯვებული ევრო 2024-ის ფლეი ოფის ნახევარფინალში ითამაშებს და გერმანიაში მოსახვედრად იბრძოლებს.

4 ტურის შემდეგ საქართველოს ნაკრები ჯგუფს ლიდერობს. ვილი სანიოლის გუნდს 10 ქულა აქვს და პირველი ადგილის გასანაღდებლად, 23 სექტემბერს, შინ, ჩრდილოეთ მაკედონიასთან ფრედ თამაშიც ჰყოფნის. თუმცა, წაგების შემთხვევაშიც მაკედონიელებზე მეტი შანსი რჩებათ.

შოთას ბედი ლუთონზე ჰკიდია

თურქული გამოცემების ცნობით, ჰალ სიტის მთავარ მწვრთნელ შოთა არველაძეს თანამდებობაზე მხოლოდ მომდევნო მატჩის მოგება დატოვებს.

ჩვენებურის გუნდმა ინგლისის ჩემპიონშიფში ზედიზედ ოთხი მატჩი წააგო და აუტსაიდერებში დაქვეითდა. ბოლო იყო სუონსისთან მარცხი – 0:3.

მატჩის შემდეგ შოთა არველაძემ თანამდებობის დატოვება გადაწყვიტა და საფინალო სასტვენის შემდეგ ქართველი სპეციალისტი კლუბის მფლობელს, აკუნ ილიჯალის შეხვდა.

ილიჯალიმ გადაწყვეტილება მიიღო: არველაძე ლუტონ თაუნთან გუნდს სათამაშოდ კი გაიყვანს, მაგრამ ცუდი შედეგის შემთხვევაში ქართველ მწვრთნელს გაათავისუფლებს.

თურქები იმასაც წერენ, რომ ილიჯალმა არველაძის შემცვლელი უკვე შეარჩია – ერსუნ იანალი, რომელიც გასულ წელს ანთალიასპორს წვრთნიდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ჯინის გასაზავებელი უალკოჰოლო სასმელი; 2. ნოველა „კარმენის“ პერსონაჟი; 3. გერმანული ყოველკვირეული ჟურნალი; 4. ჩრდილო აფრიკაში მცხოვრები არაბების ძველი სახელწოდება; 5. პოპულარული ნილოსისპირა კურორტი ეგვიპტეში; 7. პატარა სასაუზმე იტალიაში; 11. ალპინისტთა მეგზური ჰიმალაებში; 12. საჭმელი სოკო; 13. იურიდიულად გაფორმებული სავალო ხელშეკრულება, თამასუქი; 14. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 15. პატარა ავსტრალიური კენგურუ; 17. სასახლის სახელწოდება იტალიაში; 19. კოსმოსური კვლევის ამერიკული ცენტრი.

თარაზულად: 5. ავადმყოფური მიდრეკილება გადაჭარბებული ლაპარაკისადმი; 6. კვერცხის გულის, წებოსა და ზეთის ხსნარისგან მომზადებული სახატავი საღებავი; 8. ისტორიული ციხე-კოშკი ხევსურეთში; 9. ფრანგული მინერალური წყალი; 10. კროსვორდის გამომგონებელი; 11. კურორტი რაჭაში; 13. კათოლიკური ეკლესიის რელიგიურ-ადმინისტრაციული ცენტრი; 14. ესპანური სახლის შიდა ეზო; 16. გერმანული ავტომობილი; 18. კავშირგაბმულობის დაწესებულება; 20. მარმარილოს საბადო ტყიბულის რაიონში; 21. ბარსელონას ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბუფონი; 2. იანუსი; 3. რიეკა; 5. ბახი; 6. ქრთამი; 8. დიდუბე; 11. რქაწითელი; 13. ავოკადო; 14. ბუკიოტი; 15. კარტელი; 19. პაბი.

თარაზულად: 1. ბუდვაიზერი; 4. თამბაქო; 7. ფაეტონი; 9. კომიქსი; 10. კროსი; 12. ბიურგერი; 16. შენგელია; 17. კონიაკი; 18. ბიდსტრუპი; 20. ლანცეტი; 21. კოხი; 22. გაგრიფში.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ხვიჩია; 2. კლიჩკო; 3. ოჩოკოჩი; 4. მილუოკი; 5. კაროჟნა; 7. მუფლონი; 11. ტაქსა; 12. მიქსტი; 13. დასლერი; 14. პარკუჭი; 15. თაგორი; 17. ნაზუქი; 19. ჭაჭა.

თარაზულად: 5. კრაველი; 6. ყანჩელი; 8. კაფი; 9. ვოლვო; 10. ჟაკარი; 11. ტუბა; 13. დიპტანკი; 14. პაქტი; 16. ონისე; 18. სილვა; 20. ჭანჭური; 21. რეაქცია.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

22 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8426

ევრო — 2.8218

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2252

100 რუსული რუბლი — 4.6661

ამინდის პროგნოზი 22 სექტემბრისთვის

კლოპი: „ლივერპული შედეგს აუცილებლად გამოასწორებს“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა კლუბის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ ლივერპული შედეგს აუცილებლად გამოასწორებს და ეს, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში მოხდება. კლოპის აზრით, სეზონის სტარტზე ლივერპულს უბრალოდ არ გაუმართლა: „ჩვენ საკმარისად ვქმნით მომენტებს, უბრალოდ, მათი გამოყენება არ გამოგვდის და პირველ რიგში, ეს უნდა გამოვასწოროთ. სხვა ყველაფერი ნორმალურად მიდის და ჩვენ სწორ გზაზე ვართ“.

მესი: „პსჟ-ს ყველა ტიტულის მოგება შეუძლია“



პსჟ-ს არგენტინელმა ლიდერმა ლიონელ მესიმ თავისი გუნდის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ მათ ყველა ტიტულისთვის ბრძოლა შეუძლიათ და გუნდს დიდი პოტენციალი აქვს, რაც წელს უკვე გამოჩნდა: „მინდა, რომ გულშემატკივარი გავახაროთ და კიდევ ერთხელ ყველას ვაჩვენოთ, რომ პსჟ-ს შეუძლია უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა. თუ ეს არ გამოგვივიდა, მაშინ თავის მართლების უფლებაც არ გვექნება“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ტელეფონი რეკავს და მამაკაცი კითხულობს:

– ალო, პოლიციაა?

– დიახ, რაშია საქმე?

– დამეხმარეთ, ცოლი დამეკარგა.

– დაწვრილებით აღგვიწერეთ.

– ერთი წუთით, მაგრამ მინდა გაგაფრთხილოთ, რომ როდესაც იპოვით, არავითარ შემთხვევაში არ აჩვენოთ ჩემი აღწერილობა, თორემ, მერე ჩემი მოძებნა მოგიწევთ.

●●●

ნათესავი ქალს ეკითხება:

– ეს რანაირად ცხოვრობთ, შენ და შენი ქმარი? ცალ-ცალკე ოთახში გძინავთ!

– თუ მას მოუნდება სექსი, მისტვენს.

– და თუ შენ?

– მაშინ ვეძახი: „ძვირფასო, დაუსტვინე?“

●●●

მამა შვილს ეკითხება:

– შვილო, აუზზე რომ დადიხარ, ხომ არ შარდავ?

– არა, მამიკო, პატარა ხომ აღარ ვარ.

– იცოდე, იქ სპეციალურ სითხეს უშვებენ, როგორც კი მოშარდავ, წყალი გალურჯდება.

– არაფერსაც არ ლურჯდება.

●●●

რუსს ეკითხებიან:

– მართალია, რომ თქვენთან დათვებს პირდაპირ გზაზე შეხვდებით?

– ტყუილია, სად გვაქვს გზები...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნიკოლოზ ხომასურიძე დავით აღმაშენებლის როლში გადაიღეს

რეჟისორი ნიკოლოზ ხომასურიძე დავით აღმაშენებლის როლში გადაიღეს. ყაზახურ ფილმში რეჟისორმა ალექს კამენსკიმ დავით IV-ის როლისთვის სწორედ ქართველი რეჟისორი შეარჩია.

ინფორმაცია ნიკოლოზ ხომასურიძემ ინტერნეტში თავად გაავრცელა:

– დიდი პასუხისმგებლობაა იყო დავით IV აღმაშენებლის განსახიერება ყაზახურ ისტორიულ დოკუმენტურ ფილმში „სტეპებსა და მთებს შორის“. რეჟისორი – ალექს კამენსკი.

მერაბ ნინიძის „ექიმ ბალუზის“ ქართველი მაყურებელი ნახავს

მსახიობ მერაბ ნინიძის ერთ-ერთ ბოლო ნამუშევარს ქართველი მაყურებელი მალე იხილავს.

„ექიმი ბალუზი“ – ასე ჰქვია მერაბ ნინიძის კიდევ ერთ პერსონაჟს. ქართველი მსახიობი გერმანულ ტელენოველაში კლინიკის მთავარი ექიმის როლს ასრულებს. მერაბ ნინიძის გმირი არაორდინარული ხერხებით თავის გუნდთან ერთად ცდილობს პაციენტებისა და საკუთარი წარსულის მკურნალობას და გადარჩენას.

ქართველი მსახიობის მონაწილეობით გადაღებულ დრამას „რუსთავი 2“-ის მაყურებელი ძალიან მალე ნახავს.

მარგარეტ დაიაურს 1500 ლარი აჩუქეს

შატილში მცხოვრებ დიზაინერს მარგარეტ დაიაურს ნორვეგიელებმა 1500 ლარი შეუგროვეს და საჩუქრად გადასცეს:

– დაახლოებით, 1 კვირის წინ, უსაყვარლესმა და უკეთილშობილესმა, მარიამ ისაკაძემ, შატილში ნორვეგიელი ჟურნალისტი – ბო მოიყვანა, სტატია უნდა დაეწერა ჩვენზე. ინტერვიუსას ჩემი ისტორია მოისმინა, ასევე, მოისმინა მიზნები, გეგმები, გრანტის ამბავი, ნახა ჩემი ნამუშევრები და მითხრა, დიდი მომავალი გაქვსო, საჩუქრები დამიტოვეს და წავიდნენ.

ბო ისევ დაბრუნდა, დაბრუნდა ერთადერთი მიზეზით, რომ ჩემთვის 1500 ლარი ეჩუქებინა, იმ თანადაფინანსების ნახევარი, რაც მე უნდა დამედო აწარმოე საქართველოსთვის, ეს ფული ნორვეგიელებმა შეაგროვეს ბოს ინიციატივით.

მინდა იცნობდეთ ამ ადამიანს, ნორვეგიელ ჟურნალისტს, რომელსაც არანაირი ვალდებულება არ ჰქონდა, რომელსაც, წესით, არც უნდა მიექცია ყურადღება იმ თანადაფინანსების თანხისთვის, მაგრამ იმდენად კეთილი, საყვარელი და იშვიათი ადამიანია, ამისთვის დაბრუნდა. უდიდესი მადლობა!

ჩემს სახელოსნოსა და საგამოფენო სივრცეში მოსულ სტუმრებს აუცილებლად ეცოდინებათ, ვინ არის ბო და ჩემს წამოწყებულ იდეას ხევსურეთში, დასაწყისშივე როგორ დაუჭირა მხარი ბომ, არა მხოლოდ მე დამიჭირა მხარი, არამედ ხევსურეთს, შატილს და მის განვითარებას!

ლადო ალექსი-მესხიშვილის საარქივო მასალა გამოფენილია

არქიტექტორ ლადო ალექსი-მესხიშვილის საარქივო მასალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა გამოფინა.

არქიტექტორთან დაკავშირებით დაცული მასალა თიბისი კონცეპტის მულტიფუნქციურ სივრცეში იქნა წარმოდგენილი.

თბილისის სპორტის სასახლის, წყალტუბოს სანატორიუმ „იმერეთის“, თბილისის ჭადრაკის სასახლის, „ვაკის პარკის“ კასკადის, თბილისის ფოსტის ცენტრალური შენობის, მეტრო „თავისუფლების მოედნის“ და სხვა გამორჩეული შენობების არქიტექტორის მოღვაწეობის ამსახველი საარქივო დოკუმენტები და ფოტოები საზოგადოებას გამოფენაზე „ლადო ალექსი-მესხიშვილი, არქიტექტორი ეპოქების მიჯნაზე“ პირველად წარედგინა. გამოფენის სტუმრებმა ეროვნულ არქივში დაცული რეჟისორ ლანა ღოღობერიძის ფილმი „წერილი შვილებს“ იხილეს, რომელიც ავტორმა მეუღლის ხსოვნას მიუძღვნა.

თიბისის ორგანიზებით თიბისი კონცეპტის მულტიფუნქციურ სივრცეში გახსნილ გამოფენაზე დამთვალიერებელს შესაძლებლობა აქვს იხილოს ლადო ალექსი-მესხიშვილის არქიტექტურული ჩანახატები და ნახაზები, მის მიერ დაპროექტებული შენობების ფოტოები და მაკეტები. ექსპონატები საქართველოს ეროვნულ არქივში, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და კერძო კოლექციებშია დაცული.

ლადო ალექსი-მესხიშვილი XX საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული არქიტექტორია. მისმა შემოქმედებამ საქართველოში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა.

გამოფენის კურატორები არიან დიმიტრი ერისთავი, ლადო შონია ნინი ფალავანდიშვილთან თანამშრომლობით.

თიბისი კონცეპტის მულტიფუნქციურ სივრცეში გამოფენა 31 დეკემბრამდე გაგრძელდება.

საქართველოს რეგიონული ბიბლიოთეკების განახლება იწყება

საქართველოს რეგიონული ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის განახლების პროექტი იწყება.

28-29 სექტემბერს საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებითა და ფონდი არველაძის ფინანსური მხარდაჭერით, უკვე მეშვიდედ განხორციელდება ბიბლიოთეკების ვაუჩერიზაციის პროექტი. პროექტის ფარგლებში საქართველოს 64 ცენტრალურ ბიბლიოთეკას წიგნების შესაძენად გადაეცემა 900-ლარიანი ვაუჩერი, რომელთა განაღდებასაც ისინი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში განთავსებულ 30-მდე გამომცემლობისა და გამავრცელებლის სტენდთან შეძლებენ.

პროექტს ოფიციალურად, 28 სექტემბერს საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციისა და ფონდი არველაძის დამფუძნებლები, რევაზ და არჩილ არველაძეები გახსნიან.

საქართველოს ცენტრალური ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის განახლების პროექტის ფარგლებში, ბიბლიოთეკარებს საშუალება ეძლევათ სპეციალური კატალოგის მიხედვით, რომელიც მონაწილე გამომცემლების უახლეს გამოცემებს აერთიანებს, თავად გააკეთონ არჩევანი და შეიძინონ მათთვის სასურველი წიგნები.

პროექტის მიზანია, ცენტრალურმა ბიბლიოთეკებმა მთელი საქართველოს მასშტაბით, ყოველწლიურად შეავსონ წიგნადი ფონდები გამომცემლობების მიერ წარმოდგენილი უახლესი ქართული გამოცემებით და მკითხველს მაქსიმალურად მრავალფეროვანი თანამედროვე ლიტერატურა შესთავაზონ. პროექტი ასევე ხელს უწყობს საგამომცემლო სექტორის განვითარებას და თანამედროვე ლიტერატურის პოპულარიზაციას მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც ასევე გულისხმობს საქართველოში წიგნის კითხვის პოპულარიზაციასაც.

პროექტს გამომცემელთა ასოციაცია 2012 წლიდან კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით ახორციელებდა, წელს კი პირველად, პროექტს კერძო პარტნიორი ჰყავს და მას შოთა არველაძის პირადი ინიციატივით, ფონდი არველაძე აფინანსებს. როგორც ასოციაციაში აცხადებენ, სექტორისთვის მსგავსი ჩართულობა და ინიციატივები კერძო პირებისგან ძალიან მნიშვნელოვანია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

22 სექტემბრისთვის

ვერძი – თავი შეიკავეთ საქმიანი მოლაპარაკებებისაგან. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი უმაღლეს დონეზეა. პირად ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებებია მოსალოდნელი. **ტყუპები** – დაძაბული დღეა. იფრთხილეთ ყველგან. ერიდეთ კამათს. **კირჩხიბი** – ხელმძღვანელ პირებთან, საჯარო მოხელეებთან ურთიერთობისათვის შესაფერისი დღეა. ყოველგვარ წინააღმდეგობას დაძლევთ. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა. ფინანსურად ძლიერდებით და ყველაფერი იოლად გამოგდით. **ქალწული** – სხვების გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. საკუთარ პრინციპებს პატივი ეცით. მიხედეთ პირად ცხოვრებას. **სასწორი** – მძიმე დღეა, განსაკუთრებით მატერიალური კუთხით. ბედი გამოცდას გიწყობთ. ნებისყოფა მოიკრიბეთ. **ღრიანკალი** – ნებისმიერი კომერციული ოპერაცია სასიკეთოდ დასრულდება. გელით მატერიალური კეთილდღეობა. **მშვილდოსანი** – მოსალოდნელია კარიერული წინსვლა. საქმე მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის გათვალისწინებით აკეთეთ. **თხის რქა** – სისულელეებზე არ იფიქროთ და, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სწორი დასკვნები გააკეთეთ. **მერწყული** – სამომავლო გეგმებში კორექტივები შეგაქვთ. შესაძლოა, ახალი, საინტერესო სამსახურიც იშოვოთ. **თევზები** – კრიტიკული დღეა. სიფრთხილე გამოიჩინეთ პარტნიორთან ურთიერთობისას.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ერთი ეპოქის, ერთი მიმართულების გამოჩენილ მოღვაწეთა ჯგუფი; 2. უღელტეხილი საქართველოში; 3. ხორბლის უძველესი ჯიში; 5. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; 6. ცეცხლსასროლი იარაღის ბელგიელი კონსტრუქტორი; 8. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 11. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 13. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 14. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 15. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 19. მდინარე კახეთში.

თარაზულად: 1. ფერთა სიუხვე არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში; 4. ბრიტანეთის ძველი სახელწოდება; 7. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 9. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 10. ქართული საქველმოქმედო ფონდი; 12. მარტვილის ძველი სახელწოდება; 16. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 17. საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში, სტანდარტი; 18. ქალაქი იმერეთში; 20. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 21. ყველაზე დიდი ტბა იაპონიაში; 22. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა